პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
კვირა
24 მაისი
№ 121-122 (18064)
ფასი 3 კაპ.

60

„მოქმედეთ უფრო თამამად, იმუშავეთ კიდევ უფრო შეუპოვრად, კვლავაც აამაღლეთ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი. საბჭოთა ადამიანებს სჯერათ, რომ თქვენი მგზავური რესპუბლიკა კიდევ არაერთგზის გაახარებს სამშობლოს ახალი შრომითი გამარჯვებებით.

ლ. ბრეჟნევი

თბილისი, კონსტიტუციის მოედანი: მშვიდობის, მეგობრობის, გაზაფხულის მარში

თბილისი, 1981 წლის 23 მაისი. სსრ კავშირის კონსტიტუციის მოედანი. ცენტრალურ ტრიბუნაზე.

გ. კიკვაძისა და ო. თურქიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხატვარს — მაისს, საუკუნიდან საუკუნემდე გაზაფხულის თბილისის განუმეორებელ სურათს რომ ხატავს, ამ დღეებში ათასობით თანამშრომე მოეკლინა. საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებლებმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებმა, დღესასწაულობის სტუმრებმა და მონაწილეებმა, რომლებიც ჩვენთან საყვარელი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოსულნენ, თავიანთი ღრმად ინდივიდუალური შტრიხები და ფერები შეიტანეს სადღესასწაულო თბილისის პანორამაში.

ამ ლამაზ მორთულობაში ნათლად, ზეიმურად ვლინდება ის შეუფარავი განწყობა, რომელიც ახლა რესპუბლიკაში სუფევს. საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის 60 წლის თავის გამო ხეიმზე თბილისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის „გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიჩ ძე ბრეჟნევის ჩამოსვლა უდიდესი სიხარული გახდა რესპუბლიკის თითოეული მოქალაქისა და კომუნისტისათვის. დღესასწაულს განსაკუთრებული ელფერი მიანიჭა ჩვენი პარტიისა და ხალხის ხელმძღვანელობა ბრეჟნევის ინიციატივამ საზეიმო საიუბილეო სხდომაზე, რომელმაც მეთერთმეტე ხუთწლედში ახალი დიდი მიღწევებისათვის აღაფრთოვანა საქართველოს სსრ რესპუბლიკის ეროვნული ენციკლოპედიის ბუნებათა კლასი, გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია.

ეს გრძნობები, აზრები, განწყობანი დაეუფლა ყველას, ვინც 23 მაისს მოვიდა კონსტიტუციის მოედანზე, ახლანდელი დღესასწაულის ერთ-ერთ ეპიცენტრში. ლენინის ჟეხა და მშვიდობის პროსპექტი ერწყმიან მოედანს, რომელსაც უამრავი დროშა, ტრანსპარანტი, პლაკატი ამშვენებს. სადღესასწაულო მოედანი ისეა გაფორმებული, რომ გვიმნის შთაბეჭდავ სურათს საქართველოში ვ. ი. ლენინის ანდერძის გამარჯვების, ექვსი საბჭოთა ათწლეულის მანძილზე საბჭოელის ყველა მომმე ხალხის მხარდამხარ რესპუბლიკის მიერ განვლილი ბრძოლისა და გამარჯვებების გზის შესახებ. თორმეტმეტრიან ფლაგშტოკებზე მაისის ქარი აფრიალებს მოკავშირე რესპუბლიკების დროშებს. მოედნის ირგვლივ შენობების ფასადებზეა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა პორტრეტები, ციფრები „1921-1981“. საქართველოს სახელმწიფო დროშა და რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი გამოსახულია სასტუმრო „აჭარის“ შენობის მთელ ფასადზე გაკრული უზარმაზარ ტილოზე.

მთავრობის ტრიბუნის თავზე აღმართულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ბიუსტი.

შეკრებილთა მქუხარე ტაში გაისმის, როცა ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ა. ალიევი, ტ. ი. კისელიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გ. გილაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. ა. პატარიძე,** დელეგაციების ხელმძღვანელები: ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **პ. პ. გრიშკიავიჩუსი,** ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ე. ვოსი,** ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ტ. უ. უსუბალიევი,** ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჯ. რ. რასულოვი,** სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **კ. ს. დემირჩიანი,** მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ი. პ. ჯალინი,** თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. იაზყულიევი,** ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ი. გ. კებინი,** სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი **ნ. ი. სუსლოვი,** სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი **ს. თ. მედუნოვი,** სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ს. მურახოვსკი,** სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **მ. ი. უმახანოვი,** უაბარდო-ბალყარეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **კ. ხ. კუშხოვი,** სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ე. კაბალოევი,** სკკპ ჩაჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ვ. ვლასოვი,** საბჭოთა კავშირის მარშალი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი **ი. ჭ. ბაგრამიანი,** სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ავიაციის გენერალ-მაიორი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი **პ. ი. კლიმუკი.**

აქვე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები — **გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ხ. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ხ. სანაკოევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე **ვ. ე. ოდინცოვი.**

ტრიბუნაზე არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, პარტიის, შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, გენერლები.

რესპუბლიკა თავის იუბილეს მაისში აღნიშნავს. მაისი კი საბჭოთა ადამიანებისათვის ყოველთვის მშვიდობის სიმბოლოა. ჩვენი პარტია ჭეშმარიტად ტიტანურ ბრძოლას ეწევა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის. ჩვენს სამშობლოს თავისი ოცი მილიონი შვილის სიცოცხლის ფასად დაუჯდა მშვიდობა, გამარჯვება ფაშისტ ბარბაროსებზე, რომლებიც ლამობდნენ დაიმონებინათ ჩვენი ადამიანები, მოესპოთ სოციალისტური სახელმწიფო. ამ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმაც.

„დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის 60 წლის თავის აღსანიშნავად თბილისში გამართულ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში, — საქართველოს შვილები აღდგნენ საბჭოთა სამშობლოს დასაცავად. 270 ათასმა მათგანმა — რესპუბლიკიდან ფრონტზე წასულთა თითქმის მესამედმა — თავი გასწირა აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ადამიანთა ხსოვნა წმიდათაწმიდაა“.

საბჭოთა ქვეყანა ყოველ ღონეს ხმარობდა და ხმარობს, რათა დაიცვას ქვეყნად მშვიდობა. პარტია დღენიადაგ ზრუნავს ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, მისი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების ამაღლებისათვის.

XI წოლელი არმიის მებრძოლთა დიდების მემკვიდრეები, ამიერკავკასიელი მეომრები მთელ ძალ-ღონეს აზარენ საბრძოლო ოსტატობის სრულყოფას. ისინი ყოველთვის მზად არიან გაანადგურონ ყოველი მტერი, რომელიც გაბედავს ხელყოს ჩვენი სამშობლოს საზღვრების ხელშეუხებლობა. და საუკეთესოთაგან საუკეთესოებს — ოფიცრებს, პრაპორჩიკებს, სერჟანტებსა და ჯარისკაცებს— წლად ხვდათ დიდი პატივი მონაწილეობა მიიღონ სამხედრო პარადში საბჭოთა საქართველოს 60 წლის თავის აღსანიშნავად, ცხადყონ არმიისა და ხალხის მონოლითური ერთიანობა; სამშობლოს დამცველთა ერთგულება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

საათის ისრები თერთმეტს უახლოვდება.

მოედანზე ჩამწკრივებულან პარადზე გამოსული ასეულები. ღია მანქანით მათ ჩამოუარა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამ-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბრწყინვალე სადღესასწაულო დღეებმა, რომლებიც მოსკოვის, ლენინგრადის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად გავატარეთ მადლიან ქართულ მიწაწყალზე.

ლამაზი და თავაზიანი დაგვახსომდება თბილისი. თვალს ახარებს თქვენი ახალმშენებლობანი. მშვენიერია თბილისის ძველი უბნები, რომლებიც განახლებული დაუბრუნდნენ ცხოვრებას. ამ უბნებს აღტაცებაში მოჰყავდა გრიბოედოვი და პუშკინი. სწორედ მათ უმღერა ფიროსმანის ფუნჯმა. (ტაში).

დღესასწაულმა წარმატებით ჩაიარა. და მარტო იმიტომ კი არა, რომ საქართველოში იციან მასპინძლობა. ნამდვილი საზეიმო განწყობილება მაშინ იქმნება ხოლმე, როცა საქმე კარგად მიდის. ეს კი ყველამ დავინახეთ და ვიგრძენით საქართველოში. არც თბილისის დინამოელებმა გვიმტყუნეს (ბამოცოცხლება დარბაზში, ტაში): მოიპოვეს ევროპის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო პრიზი. ტყუილად როდი ვქომაგობდით მათ. (ტაში).

მინდა გამოვყო დღესასწაულის ერთი ნიშანი — მისი მრავალეროვნული ხასიათი. თქვენი იუბილე გახდა იმის კიდევ ერთი დადასტურება, თუ რამდენად შეკავშირებული არიან საბჭოთა ხალხები, რამდენად ერთიანია ჩვენი აზრები, საქმეები და ოცნებანი. (ხანგრძლივი ტაში).

შედარებით მალე აღვნიშნავთ რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების მე-200 წლისთავს. სწორი არჩევანი მოახდინეს ჩვენმა წინაპრებმა 200 წლის წინათ. რუსი და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობა გაიზარდა, კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს ექვსი სოციალისტური ათწლეულის მანძილზე. (ტაში). უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის სოციალიზმის ისტორიული მისია — დააახლოვოს და დაამოყვროს ხალხები. დაამკვიდროს მათ შორის სიამტკბილობა და მშვიდობა. (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ მშვიდობიანი ბედნიერი მომავალი გვინდა ჩვენთვის, ყველა სხვა ქვეყნისათვის. და გვწამს, რომ ასეც იქნება. (ტაში).

გთავაზობთ სადღეგრძელოს:

კეთილდღეობასა და აყვავებას ვუსურვებ საბჭოთა საქართველოს! (ხანგრძლივი ტაში).

დაე, კვლავაც მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხების მეგობრობა! (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენი დიადი კომუნისტური საქმის ახალი გამარჯვებებისა იყოს! (მეჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).

რესპუბლიკის იუბილეს აღსანიშნავად

23 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დარბაზობა გამართეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლის თავის აღსანიშნავად.

დამსწრენი გულითადად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს ვ. ვ. გრიშინს, დ. ა. კუნაევს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებს გ. ა. ალიევს, ტ. ი. კისელიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პ. გ. გილაშვილს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზ. ა. პატარიძეს, ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულ დელეგაციათა ხელმძღვანელებს, მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველ მდივნებს: ლიტვისა — პ. პ. გრიშკიავიჩუსს, ლატვიისა—ა. ე. ვოსს, ყირგიზეთისა — ტ. უ. უსუბალიევს, ტაჯიკეთისა — ჯ. რ. რასულოვს, სომხეთისა — კ. ს. დემირჩიანს, მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. პ. ჯალინს, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ. იაზყულიევს, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. გ. კებინს, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანს ნ. ი. სუსლოვს, სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივანს ს. თ. მედუნოვს, სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ს. მურახოვსკის, სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს მ. ი. უმახანოვს, უაბარდო-ბალყარეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს კ. ხ. კუშხოვს, სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ბ. ე. კაბალოევს, სკკპ ჩაჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ა. ვ. ვლასოვს, საბჭოთა კავშირის მარშალს, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს ი. ჭ. ბაგრამიანს, სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს, ავიაციის გენერალ-მაიორ პ. ი. კლიმუკს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგეს ვ. ე. ოდინცოვს.

აქ იყვნენ ზეიმში მონაწილეობისათვის ჩამოსულ დელეგაციათა წევრები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, პარტიისა და ომის ვეტერანები, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, მხედართმთავრები.

დარბაზობაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, რომელსაც დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ. **(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ქვეყნდება ცალკე).**

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს. სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

დარბაზობაზე გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი. პირველი სადღეგრძელო ეძღვნება კომუნისტურ პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ამხანაგ ლეონიდ ილიჩ ძე ბრეჟნევს! ადღეგრძელეს პარტია, სოციალისტური სამშობლოს ხალხთა მეგობრობა და ძმობა, მოსკოვი, ლენინგრადი, მოძმე რესპუბლიკები, მათი დელეგაციები და ხელმძღვანელები, მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია, მშვიდობა და მისი მამაცი დამცველები — სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები, საბჭოთა ახალგაზრდობა და მისი მებრძოლი ავანგარდი — ლენინური კომკავშირი, მკლავმოუღელელი მშრომელი საბჭოთა ქალები.

საქართველოს სსრ რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის 60 წლის თავის დღესასწაულობაზე ჩამოსულ დელეგაციათა სახელით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა დიდი მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, ყველა კომუნისტს დღესასწაულზე მოწვევისათვის, გულითადობისა და სტუმართმოყვარეობისათვის და საქართველოს სსრ მშრომელებს უსურვა კიდევ უფრო დიდი წარმატებანი ჩვენი ლენინური პარტიის დიდებული გეგმების განხორციელებაში.

დარბაზობამ გულითად ვითარებაში, ძმური მეგობრობის ატმოსფეროში ჩაიარა. (საქინფორმი).

გამოიცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ რუსულ და ქართულ ენებზე ცალკე ბროშურად გამოუშვა საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 60 წლის თავისადმი მიძღვნილ თბილისის საზეიმო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა.



ბროშურები გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. ტირაჟის ნაწილის ყდაზე გამოსახულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის რელიეფური ტვიფრული პორტრეტი. (საქინფორმი).

„სალუტ-6“-„სოიუზ-4“. თავდება კვლევის პროგრამა

ფრუნზის მართვის ცენტრი, 23 მაისი. (საკდესი). 73-ე დღეა მუშაობენ კოსმოსში ვლადიმერ კოვალიონოკი და ვიქტორ სავინიხი. ფრუნზის დაგეგმილი პროგრამის შესაბამისად ეკიპაჟი ამთავრებს კვლევასა და ექსპერიმენტებს „სალუტ-6“-„სოიუზ ტ-4“ ორბიტულ კომპლექსში.

კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამით ტექნოლოგიური დანადგარ „პიონზე“ დღეს ეწყობა ექსპერიმენტი „სტრუქტურა“. მისი მიზანია სითბური გაცვლისა და მასის გადატანის პროცესების კვლევა წყლის ხსნარებისაგან კრისტალების მიღებისას.

დაგეგმილია რადიოსაუბარი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან.

ორბიტიდან მოსული მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების მიხედვით „სალუტ-6“ სადგურისა და და „სოიუზ ტ-4“ ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ვლადიმერ კოვალიონოკი და ვიქტორ სავინიხი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

თბილისი, კონსტიტუციის მოედანი: მშვიდობის, მეგობრობის, გაზაფხულის მარში

(გაგრძელება)

ხელრო ოლქის ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ო. თ. კულიშევმა. შემდეგ სარდალი ტრიბუნაზე ადის. ფანფარები გვიხმობენ: „ისმინეთ ყველამ!“

ო. თ. კულიშევი მიკროფონთან მიდის. იგი ამბობს:

ამხანაგო ამიერკავკასიელო მეომრებო!

საბჭოთა საქართველოს მშრომელებო!

პატივცემულო სტუმრებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელითა და დავალებით მოგესალმებით და გილოცავთ დღესასწაულს —საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავს.

ეს ნათელი და სასიხარულო დღესასწაული აღინიშნება საქართველოს მშრომელთა და ოლქის მეომართა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, იმ მაღალი შეფასებით, რომელიც ყრილობაზე მიეცა რესპუბლიკის წარმატებებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპის დაჩქარებაში მეათე ხუთწლედში, რომელიც საქართველოსათვის წითელდროშოვანი გახდა.

საბჭოთა საქართველოს მიღწევები ჩვენი პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, დღეს ჩვენს ზეიმში მონაწილე პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ რესპუბლიკის ყოველმხრივი განვითარებისათვის უდიდესი ყოველდღიური ზრუნვისა და ყურადღების შედეგია.

ჩვენს ქვეყანაში, კომუნისტური აღმშენებლობის კიდევ უფრო მაღალი მიჯნები განსაზღვრა სკკპ XXVI ყრილობამ.

ჩანაფიქრი სინამდვილედ რომ ვაქციოთ, მშვიდობა გვჭირდება. კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ლენინურ საგარეო პოლიტიკას ადგას, თავის XXVI ყრილობაზე წამოაყენა კონკრეტული წინადადებანი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის უმწვავესი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების თაობაზე.

ჩვენი ქვეყნის, მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების მშვიდობისმოყვარულ კურსს ეწინააღმდეგებიან იმპერიალიზმის აგრესიული წრეები. ისინი ჯიუტად აბრკოლებენ დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განხორციელებას, აძლიერებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევას, მკვეთრად ზრდიან სამხედრო ხარჯებს. იმპერიალიზმის აშკარა დამჭაშად გვეელინება ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობა.

მაგრამ, როგორც ეს არაერთხელ განუცხადებია ჩვენს პარტიას, ძალასა და დიქტატზე იმედის დამყარება აგრესიის მომხრეებს სასურველ შედეგებს ვერ მოუტანს. „ჩვენ ვერავინ დაგვაშინებს, —ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევმა გმირ ქალაქ კიევში გამართულ საზეიმო მიტინგზე. —ნერვები მაგარი გვაქვს, კარგი წრთობა გავიარეთ. ჩვენ არა ვართ გამალებული შეიარაღების მომხრენი, ვართ მისი მოწინააღმდეგენი... მაგრამ თუ გვაიძულებენ, ომის მოტრფიალე იმპერიალიზმის ყოველგვარ გამოწვევას სწრაფ და ეფექტიან პასუხს გავცემთ“.

ომის მზარდი საშიშროების წინაშე კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ ქვეყნის თავდაცვის, მისი შეიარაღებული ძალების შემდგომი განმტკიცებისათვის. განუხრელად იზრდება მათი საბრძოლო პოტენციალი.

გამოაქვთ რა სწორი დასკვნები თავდაცვის საკითხებზე სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მითითებებიდან, ამიერკავკასიის მეომრები ფხიზლად იცავენ ჩვენი სამშობლოს სამხრეთ საზღვრებს.

ლეგენდარული მეთერთმეტე არმიის სახელოვანი მემკვიდრენი, დიდი სამამულო ომის გმირთა მცირე მიწისა და კავკასიის უღელტეხილების დამცველთა შვილები და შვილიშვილები, ჩვენი არმიისა და ხალხის გმირული ტრადიციების ერთგული ოლქის მეომრები დაუცხრომლად იმაღლებენ საბრძოლო მზადყოფნას, სრულყოფენ მხედრულ ოსტატობას.

სოციალისტური სამშობლოსა და კომუნისტური პარტიის უსაზღვროდ ერთგული, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული ამიერკავკასიელი მეომრები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა მეომარი, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მოძმე არმიებთან ერთიან მწყობრში ფხიზლად დგანან სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე, მუდამ მზად არიან გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ ყოველ აგრესორს.

გაუმარჯოს და ყვაოდეს საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში!

დაე მტკიცდებოდეს არმიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა!

დიდება საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მოედანზე ქუხს მძლავრი სამგზისი „ვაშა“.

გაერთიანებული ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნსა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს. მათ დიდებულ მელოდიებს ერწყმის საარტილერიო სალუტის ზალპი.

გაისმის ბრძანება:

— პარადო სმენა! საზეიმო მარშისათვის!..

გაერთიანებული ორკესტრი ასრულებს სადღესასწაულო მარშს, რომლის ხმებში პარადს ხსნის მედოლეთა ასეული.

უნაკლო სწორი მწკრივით მთავრობისა და სტუმართა ტრიბუნებს ჩაუარა ოფიცერთა გაერთიანებულმა პოლკმა. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და საამართველოს ოფიცერთა კოლონის წინ მოაქვთ საბრძოლო დიდების შარავანდედით მოსილი წითელი დროშა, რომელსაც ორდენის ლენტი ამკობს.

ოფიცერთა კოლონას მეთაურობს პოლკოვნიკი უ. შერმანაშაველი. იგი მონაწილეობდა საბჭოთა საქართველოს 50 წლის თავის იუბილესადმი მიძღვნილ პარადშიც. სამშობლოსა და კომუნისტური პარტიის უსაზღვროდ ერთგული საბჭოთა ოფიცრები — მხედართმთავრები, ხელქვეითთა ნიჭიერი აღმზრდელები საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო ტრადიციათა ღირსეული გამგრძელებლები არიან.

მოდიან ავიატორი ოფიცრები. მამაცმა სამხედრო მფრინავებმა სახელი გაითქვეს როგორც ზებგერითი სიჩქარით და დიდ სიმაღლეებზე ფრენის ოსტატებმა, როგორც რთული თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის კარგმაცოდნეებმა. კოლონაში მოდიან მაღალი კვალიფიკაციის ოსტატები —ოფიცრები ლ. მასალსკი, ვ. შიგაევი, ო. მეკოკაშვილი, ზ. ჯოხაძე. უშიშარი შეკვარდნები საიმედოდ იცავენ სამშობლოს ზეცას, საბჭოთა ადამიანების „შვიდობიან“ შრომას.

მწყობრად მოაბიჯებენ თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო სასწავლებლის კურსანტები. ამ უძველესმა სამხედრო სასწავლებელმა გასული წლის აგვისტოში 60 წლის თავი აღნიშნა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სამხედრო კადრების მომზადებაში დიდი დამსახურებისათვის სასწავლებელი წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოდა.

სასწავლებელს სახელოვანი ისტორია აქვს. მისი კურსდამთავრებულები დიდი სამამულო ომის წლებში მამაცურად ებრძოდნენ მტერს. 44 მათგანს სიმამაცისა და უმაგალითო ვაჟკაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სპატიო წოდება მიენიჭა. მათ შორის არიან ჯავშასტანკო ჯარების მარშალი ა. ბაბაჯანიანი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. შატილოვი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა, პოლკოვნიკები ს. პირმისაშვილი და ს. კიაზმოვი, ლეიტენანტი ს. ოგანოვი, რომელიც სამუდამოდ ჩაირიცხა სასწავლებლის პირადი შემადგენლობის სიაში, და სხვები. დღეს კურსანტთა კოლონებში მოდიან სასწავლებლის სახელოვანი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლები — ლენინური სტიპენდიანტი კურსანტი კ. რეჩკალოვი, სწავლის ფრიადოსნები კურსანტები გ. ჯიქია, ი. ყავრელიშვილი, ა. სიმონიანი, ი. ნაბიევი, დ. უჩანეიშვილი, თ. ოსეფაშვილი, ლენინური კომკავშირის სტიპენდიანტი კურსანტი ი. ბედნენკო.

სასწავლებლის კურსანტებს შორის ბევრი ომის მონაწილეთა შვილი და შვილიშვილია. კურსანტი დ. ჩუბინაშვილი არტილერიის ოფიცერი იქნება. მამამისი მიხეილი კი ომის წლებში მესანგრე იყო — აგებდა გადასასვლელებს, აშენებდა ხიდებს, ნაღმავდა მინდვრებს.

პარადზე მონაწილეობენ თბილისში ჩამოსული ვენის წითელდროშოვანი სუვოროვის ორდენოსანი ერთ-ერთი მათგანის ლიუკშია შეიარაღებული ძალების ვეტერანი, პაპაპოროშჩიკი ივანე მათეს ძე მიაკონინი. მან სამსახური დაიწყო მრისხანე 1941 წელს და აი უკვე ორმოცი წელია განაგრძობს მას! ფრონტელს მკერდს უმშვენებს ორი წითელი ვარსკვლავის ორდენი, სამი მედალი „მამაცობისათვის“, „ორი მედალი“ საბრძოლო დამსახურებისათვის“.

მწყობრად მოდიან ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანები — სწრაფმავლები, რომლებსაც ყველაზე თანამედროვე შეიარაღება აქვთ. ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანების დიდი მანევრულობა საკვიცხლე ძალასთან ერთად ეხმარება მოტომსროლელებს წარმატებით გადაწყვიტონ მრავალი საბრძოლო ამოცანა. დიახ, მძლავრია ტექნიკა, რომელიც მოდის თბილისის სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მოედანზე. მაგრამ ამ ტექნიკის ძალას ადამიანები, თავიანთი სქემის დიდი ოსტატები შეადგენენ! მათ ახასიათებთ მაღალი პოლიტიკური შეგნება, უსაზღვრო ერთგულება ჩვენი მშობლიური ლენინური პარტიის, ხალხისადმი, სამშობლოს დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნა.

ტრიბუნებს უახლოვდებიან ავიატორები. მეომრებს, რომლებიც ამ კოლონებში მოდიან, სამართლიანად უწოდებენ მფრინავთა თანაშემწეებს. ისინი სრული უფლებით ატარებენ ცისფერ სამხრეებს, რაც გულადობის, სიმამაცის, ვაჟკაცობის, მაღალი გაწვრთნილობის სიმბოლოა.

მოედანზე შემოდიან არტილერისტები. დიდი სამამულო ომის წლებში არტილერიას „ომის ღმერთს“ უწოდებდნენ. ეს მრისხანე ძალა დღესაც მზად არის გაანადგუროს ყოველი აგრესორი. არტილერისტები ბეჯითად ეუფლებიან საბრძოლო ოსტატობას. მათი დევიზია პირველივე გასროლით მოახვედრონ მიზანში მაქსიმალური სიშორიდან.

ტრიბუნებს ჩაუარეს მეკავშირე მეომრებმა. „ბრძოლის ნერვი“ — ასე ეძახიან სამხედრო კავშირგაბმულობას. და ეს სწორიცაა. მეკავშირეები აძლევენ საშუალებას მეთაურებს ოპერატიულად მართონ ქვეგანაყოფების მოქმედება. მწკრივებში არიან საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები, მაღალი კლასის სპეციალისტები.

ციდან ბრძოლაში! — ასეთია მედესანტე მეომრების საბრძოლო წვრთნის დევიზი, რომლებიც ტრიბუნას უახლოვდებიან. ფრთოსან ქვეით ჯარს უნარი შესწევს საბრძოლო ამოცანები შეასრულოს მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში. ეს მაღალ მოთხოვნებს უყენებს მედესანტეთა მომზადებას. ისინი კარგად უნდა ფლობდნენ ყველა სახეობის იარაღს, ჰქონდეთ განსაკუთრებით მტკიცე მორალურ-პოლიტიკური და ფიზიკური წრთობა. ასეთი თვისებები სრულად აქვთ მომადლებული მწყობრში მომავალთ: რიგით ჯარისკაცს ა. სიდოროვს, სერჟანტებს ვ. ბაშიკიანს, ტ. ახმედოვს და ბევრ სხვა მეომარს.

მოაბიჯებენ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანაყოფები. კოლონას სათავეში უდგას ოფიცერი ბ. ბელევეტინი, მის მკერდზე კიაფობს ათზე მეტი მთავრობის ჯილდო. ქვეგანაყოფის ყოველ მეხუთე მეომარს დამსახურებული აქვს I და II ხარისხის ნიშანი „სამსახურში წარჩინებისათვის“. შვიდი წელია იგი ინარჩუნებს წარჩინებულის წოდებას.

ტრიბუნები მიესალმებიან მოედანზე შემოსულ მწვანექუდიან მეომრებს. მწყობრად მოაბიჯებენ მესაზღვრეები — ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს საზღვრების ფხიზელი გუშაგნი.

ნაკრებ ასეულებში მოდიან საგუშაგოთა წარმოგზავნილნი, სამსახურის წარჩინებულნი. მწყობრში ვხედავთ რიგითს ს. იაკოვლევს. იგი მსახურობს სახელგანთქმულ საგუშაგოზე. მაღალი სიფხიზლისათვის მიღებული აქვს ცხრა წახალისება. შესანიშნავად ასრულებენ თავიანთ მხედრულ მოვალეობას აგრეთვე კოლონაში მომავალნი: უმცროსი სერჟანტი ჰ. ბელსკი, რიგითი ჯარისკაცი ა. სკიდანი.

ფხიზლად იცავენ სამშობლოს საზღვრებს მეზღვაური მესაზღვრეებიც. ყოველგვარ ამინდში, ყოველ დროს ისინი საბრძოლო პოსტზე დგანან.

მესაზღვრეებს მუდამ უჭირთ თვალი, მაღალია მათი საბრძოლო მზადყოფნა. საბჭოთა კავშირის სამხრეთის, ისევე როგორც სხვა საზღვრები, წმიდათა წმიდა და ხელშეუხებელია!

წყდება პარადის მონაწილე ქვეითი კოლონების მწყობრი ნაბიჯის ხმა. მშვიდობის პროსპექტიდან გაისმის ძრავების გუგუნი. იწყება საბრძოლო ტექნიკის მარში.

ტრიბუნებს უახლოვდებიან ჯავშანტრანსპორტიორები. ერთ-ერთი მათგანის ლიუკშია შეიარაღებული ძალების ვეტერანი, პაპაპოროშჩიკი ივანე მათეს ძე მიაკონინი. მან სამსახური დაიწყო მრისხანე 1941 წელს და აი უკვე ორმოცი წელია განაგრძობს მას! ფრონტელს მკერდს უმშვენებს ორი წითელი ვარსკვლავის ორდენი, სამი მედალი „მამაცობისათვის“, „ორი მედალი“ საბრძოლო დამსახურებისათვის“.

მწყობრად მოდიან ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანები — სწრაფმავლები, რომლებსაც ყველაზე თანამედროვე შეიარაღება აქვთ. ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანების დიდი მანევრულობა საკვიცხლე ძალასთან ერთად ეხმარება მოტომსროლელებს წარმატებით გადაწყვიტონ მრავალი საბრძოლო ამოცანა. დიახ, მძლავრია ტექნიკა, რომელიც მოდის თბილისის სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მოედანზე. მაგრამ ამ ტექნიკის ძალას ადამიანები, თავიანთი სქემის დიდი ოსტატები შეადგენენ! მათ ახასიათებთ მაღალი პოლიტიკური შეგნება, უსაზღვრო ერთგულება ჩვენი მშობლიური ლენინური პარტიის, ხალხისადმი, სამშობლოს დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნა.

თბილისი, 1981 წლის 23 მაისი. მშრომელთა დემონსტრაცია სსრ კავშირის კონსტიტუციის მოედანზე.

ს. ედიშერაშვილისა და ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ტრიბუნებს უახლოვდება სხვადასხვა კალიბრის არტილერია, რომელმაც დიდი სამამულო ომის წლებში უკვდავი დიდება მოიპოვა. ახლა მისი სიძლავრე ბევრად გაიზარდა. ამას მოწმობს თანამედროვე სხვადასხვა კალიბრისა და სიმძლავრის შორსმსროლელი ქვემეხები, რომლებიც გამოჩნდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მოედანზე. საიმედოა საკვიცხლო საშუალებები მარჯვე ხელშია!

ტრიბუნაზე მყოფთა აღტაცებას იწვევს რეაქტიული დანადგარები. საბჭოთა ადამიანებს ახსოვთ, თუ რა შიშს ბარს სკვიდდა მტერს ომის წლებში „კატიუშის“ ზალპები. დღევანდელ რეაქტიულ დანადგარს გაცილებით მეტი საკვიცხლო ძალა აქვთ.

მოედანზე გამოჩნდნენ დესანტის საბრძოლო მანქანები. ისინი შეიძლება თვითმფრინავებთან გადაიტანონ შორს ფრონტის ხაზს იქით და პარაშუტებით დაუშვან მოწინააღმდეგის ზურგში. მანქანებთან ერთად მეომრებიც ეშვებიან. ცხრა-ცხრა ნახტომი შეასრულეს ციდან რიგითებმა ი. გლებოვმა, ს. ეფიმოვმა, სერჟანტმა ი. ულიანჩენკომ, სწავლის წარჩინებულებმა, სსრ კავშირის სპორტის ოსტატმა რიგითმა ი. მალაქიმ და რიგითმა ა. ოზოლშმა.

სატანკო ჯარები სახმელეთო ჯარების დამკვრელი ძალაა. დიდი სიჩქარე, მანევრულობა საკვიცხლე ძალასა და ჯავშნიან დაცვასთან შერწყმით საიმედოდ იცავს მათ ბრძოლის ველზე.

ერთ-ერთ ტანკს მართავს სერჟანტი ტ. კუპრაძე. მოკლე ვადაში იგი დაეუფლა მექანიკოსი მძღოლის სპეციალობას. დღეს მას მინდობილი აქვს ახალგაზრდა მეომრების აღზრდა.

ტრიბუნებს უახლოვდება საჰაერო თავდაცვის ჯარების საბრძოლო ტექნიკა. კოლონას მიუძღვიდა ოფიცერი ი. ტრეტიაკოვი, რომელიც დაჯილდოებულია III ხარისხის ორდენით „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის“.

მოდიან მრისხანე რაკეტებიანი მანქანები. საქართველოს დიდაქალაქის მშრომელები, სტუმრები სიამაყით, აღტაცებ ი თ, —ტაშით ხვდებიან სახმელეთო ჯარების მთავარ დამკვრელ ძალას. ეს მძლავრი საბრძოლო ტექნიკა აღჭურვილია საბჭოთა სამხედრო მეცნიერების უახლესი მიღწევების მიხედვით.

და ავლავ ეღირს მარშის საზეიმო მელოდია სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მოედანზე. დღესასწაულის აღსანიშნავად გაისმის საყვირებისა და დაფდაფების ხმა. დამთავრდა ჯარების სალამი, ტრიბუნებს ჩაუარა გაერთიანებულმა ორკესტრმა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავმა სამხედრო პარადმა თვალნათლივ



თბილისი, 1981 წლის 23 მაისი. სამხედრო პარადი სსრ კავშირის კონსტიტუციის მოედანზე.

ს. ედიშერაშვილისა და ა. რუხაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ცხადყო ამიერკავკასიის მეომრების ჩინებული გაწვრთნილობა მშობლიური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისადმი მათი უსაზღვრო ერთგულება, საყვარელი სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნა.

წყდება სამხედრო ორკესტრის ხმები. მოედნის ახლომახლო ქუჩებზე საზეიმო სვლისათვის ემზადებიან დემონსტრანტთა კოლონები. სპორტის სასახლის წინ დადგმული ხუთქიმიანი ვარსკვლავის თორმის უჩვეულო ტრიბუნის რიგები თითქოს შეირხა. ტრიბუნა აავსო თბილისის პროფტექსასწავლებლებია სამი ათას ოთხასმა აღსაზრდელმა. ისინი ნაირფერი ალმებით, დიდებული მელოდიის თანხლებით „წერენ“ სიტყვებს: „დიდება სკკპ-ს!“.

იწყება თეატრალიზებული წარმოდგენა „რევოლუციის ალი“ — ფრაგმენტი დიდი სახალხო დღესასწაულისა „ერთიან ძმურ ოჯახში იდიდე, საბჭოთა საქართველოვ!“.

დღესასწაულის მკაფიო სურათებით აისახა დიდი პერიოდი და შრომითი გმირობით აღსავსე რესპუბლიკის მატიანის ფურცლები. ოდერესად ლაკონიურად და შინაარსიანად წარმოგვიდგა თვალწინ დრო და ქვეყანა, საბჭოთა საქართველოს ძოლვამოსილი მარში, მისი აღმშენებლების თაობათა ძნელი და ბედნიერი ცხოვრება. თითქოსდა გიგანტურ ფრესკებზე იხატება ჩვენი დიდი გზის ეტაპები. მათ აკოკეტლებდნენ ფერად-ფერადი მაკიტებიც, დიმონსტრატებს რომ მოჰქონდათ, მასობრივი თეატრალიზებული წარმოდგენებიც, რომლებიც კონსტიტუციის მოედანზე გამართული მეგობრობის სახალხო დღესასწაულის ერთ-ერთი შთამბეჭდავი მოვლენა გახდა.

ცეკვა აფერადებს ფოიერვერკი. ამ სადღესასწაულო სალუტში გაისმის „ავროროს“ ზალპის ხმები, რომელმაც აუწყა მსოფლიოს დიდი ოქტომბრის გამარჯვება, განსაზღვრა ადგილი ძველი საქართველოს ბედნიერი მომავალი.

ცისარტყელასავით ბრწყინავს მოედანი, სადაც გამოჩნდნენ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოცეკვავეები. ისინი ასრულებენ საბრძოლო ცეკვას „ხორუმს“. ასე აღნიშნავდა ძველთაგან ქართველი ხალხი თავის გამარჯვებებს.

საზეიმოდ და ომახიანად ეღერს „ინტერნაციონალი“ — პლანეტის პროლეტარიატის ძმობის, სოლიდარობისა და ბრძოლის ჰიმნი. მოედანზე გამოჩნდნენ რევოლუციის ჯარისკაცები. მათ მოაქვთ წითელი დროშები, რომლებიც მათ წინ მიუძღოდა თეთრგვარდიელთა ბანდებისა და ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მადლიერ შთამომავალთა მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება რევოლუციის დრო, თავდადება მისი გმირებისა, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად თავისუფლება და ბედნიერება მოუპოვეს ქართველ და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ყველა ხალხს.

მოედანზე ცოცხლდება საქართველოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის შრომითი დიდების მატიანე. როცა გონების თვალს ავლებ რესპუბლიკის მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში განვლილ გზას, გახსენდება ა. ჭავჭავაძის სიტყვები: საქართველო დაუმოკვდრდა რუსეთს. ჩვენმა სოციალისტურმა სინამდვილემ, ჩვენმა ისტორიულმა გამოცდილებამ შეაცვალა ეს სიტყვები. საქართველოს ბედნიერება დაკავშირებულია რუსეთთან, დიადი, ერთიანი საბჭოთა ოჯახის წევრ ყველა რესპუბლიკასთან.

დღეს საბჭოთა საქართველო აწარმოებს ხომალდებსა და თვითმფრინავებს, ავტომობილებსა და ჩარხებს, გამომთვლელ მანქანებსა და ზუსტ ხელსაწყოებს, ფოლადის ნაგლინსა და ნავთობს, ელმავლებსა და ტრაქტორებს... რესპუბლიკის მიწათმოქმედთ მოჰყავთ ყურძენი და ჩაი, ციტრუსები და პური.

ჩვენ ვსწავლობდით და ვაშენებდით. და აი უკვე ენერგია მოგვცა საქართველოს ენერგეტიკის პირმშომ ზაჰესმა, რომელიც გოელროს ლენინური გეგმით აშენდა, საძირკველი ჩაეყარა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას, სოფლად მოვიდა თანამედროვე ტექნიკა. ყოველი ახალი ხუთწლედი, ყოველი ახალი დაპყრობილი მწვერვალი იყო ტრამპლინი მომავალში, ხვალინდელ დღეში.

რესპუბლიკის მიწაზე დამდგარი დღესასწაულის სიხარულს თითქოს განასახიერებენ მოედანზე გამოჩენილი ახალდაქორწინე ბუღთა ბედნიერი წყვილები. ქღერს საქორწინო მარში. მაგრამ მოვუსმინოთ: მის მელოდიაში შემოიჭრა ნაბათის საგანგაშო ხმები. მოედანი გაირინდა. — „საუკუნო ხსოვნა გმირებს!“ გაისმის მძლავრი დინამიკებით მოედანზე.

ეს ერთხელ კიდევ გვახსენებს: ჩვენ ვალდებული ვართ იმათ წინაშე, ვინც მსოფლიო ფაშიზმისაგან დაიცვა. გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს საქართველოს შვილებმა. ფრონტზე წასულთაგან თითქმის ყოველი მესამე შინ არ დაბრუნებულა, სიცოცხლე შესწირა სამშობლოსათვის ბრძოლას!

და აი, მოვიდა დიადი გამარჯვება! ნანატრი გამარჯვება, ასე ძვირად რომ დაგვიჯდა. მტკიცე ნაბიჯით მოდიან ჯარისკაცები. მათ ხელში ბავშვები აუყვანიათ. და როცა მოედანზე მომძე რესპუბლიკების ხალ ხ თა ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი ბედნიერი ბავშვები შემორბიან, ჩვენ კვლავ მადლიერების სიტყვებით მიემართავთ გამარჯვებულ მეომარს, საბჭოთა ჯარისკაცს, რომელიც უკვე ოცდათექვსმეტი წელია დარაჯობს მშვიდობას ჩვენს მიწაზე. და დღესასწაულის მონაწილენი კვლავ ტაშის გრიალით პატივს სცემენ გმირთა ხსოვნას. „დაე, მუდამ იყოს მზე!“, „მსოფლიოს — მშვიდობა!“

საბჭოთა საქართველოს გმირული წარსული აქვს. მშვენიერია მისი აწმყოც. გაიფურჩქნა და განმტკიცდა, მძლავრი ძალები მოიკრიბა ქართულმა მიწამ. რესპუბლიკის მრეწველობა ორ დღეში იმაზე მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე მთლიანად 1921 წელს გამოუშვა.

საქართველოს ერთ-ერთი უხუცესი ენერგეტიკოსი, — ზაჰესის მშენებლობის აქტიური მონაწილე, 75 წლის კ. გაგნიძე ამაყად ამბობს:

— საქართველოს ელექტროსადგურები არასრულ დღე-ღამეში უფრო მეტ ენერგიას აწარმოებენ, ვიდრე მთელ 1920 წელს. შარშან რესპუბლიკაში წარმოებულია 14,5 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია. მომავლისთვის გათვალისწინებულია საბაზო სადგურის მშენებლობა, რომელიც გადააჭარბებს საქართველოს ყველა ამჟამად მოქმედ ელექტრო — და თბოსადგურის სიმძლავრეს. აი რა შორს წავედით!

მოედანზე ეღერს საზეიმო მელოდია, რომელიც ადიდებს საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წარმატებებს. ავტოპლატფორმაზე დამაგრებულია შემოქმედებითი შრომის სიმბოლო — გადაჭდობილი ნამგალი და ურო.

მეათე ხუთწლედის გმირთა გამოჩენას მოედანზე ზეიმ ი ს მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. აფხაზეთი დ ა ნ, აჭარიდან, სამხრეთ ოსეთიდან, რესპუბლიკის ყველა ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი. ესენი არიან სახელოვანი მეჩაიეები და მევენახეები, მეციტრუსეები და მეცხოველეები, მშენებლები და მეცნიერები, ავტომობილმშენებლები, და კულტურის მოღვაწენი. მეათე ხუთწლედის გმირები, მეთერთმეტე ხუთწლედის გვარდიელები. ისინი თავიანთი შთაგონებული შრომით დღითი დღე ამრავლებენ წითელდროშოვანი საბჭოთა საქართველოს დიდებას. მათ შორის არის ხელვაჩაურის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი მ. აბაშიძე.

— ძნელია იმ გრძნობების გამოხატვა, რომლებსაც ახლა განიცდი, — თქვა მან. — საქართველოში ერთგული ლენინელის, ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასი ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის ჩამოსვლა, მისი შთაგონებული სიტყვა საზეიმო საიუბილეო სხდომაზე საქმდამდე დაახსომდება ყველა ჩვენგანს. შეხედეთ, რა მოღიმარი, ბედნიერი სახეები აქვთ ზეიმის მონაწილეებს! მეც დიდ სიხარულს განვიცდი. რესპუბლიკის იუბილეს წინ მომპარეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მაღალი ჯილდო მავალებს მეც, მთელ ჩემს კოლექტივსაც ვიშრომოთ უკეთ, ძალ-ღონე არ დავიშუროთ, რათა მეთერთმეტე ხუთწლედიც ისევე წარმატებით შესრულდეს, როგორც მეათე.

დიდი პატივია მონაწილეობდე რესპუბლიკის 60 წლის თავისადმი მიძღვნილ საზეიმო დემონსტრაციაში. საუკეთესოთა შორის საუკეთესონი გამოგზავნეს საზეიმო მსვლელობაში მონაწილეობისათვის რესპუბლიკის კოლექტივებმა. ყველა მათგანს ბევრი რამ შეუძლია უპატაკოს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც მენიჭა ეს მაღალი პატივი, არის ქუთაისის ავტომქარხნის-გამომცდელი მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ვაშაკიძე. მან ქარხნის ეზოდან გამოიყვანა პირველი ქართული ავტომობილი. მან გამოსცადა აგრეთვე ახალი ავტომატარებელი სოფლის საჭიროებისათვის.

— ქუთაისელი ავტომშენებლები ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მოახსენებენ: ახალი მანქანების პირველი სამრეწველო პარტია, რომელთა წარმოება გათვალისწინებულია სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, საწარმომ მოახმარებელს გაუგზავნა ქვეყნის კომუნისტთა ფორუმის წინ. მთელი პასუხისმგებლობით შემოვლია განვაცხადო: ავტომატარებელი მოეწონათ სოფლის მექანიზატორებს; იგი უნივერსალურია, აქვს მაღალი გამავლობა და ეკონომიურია. მანქანა, რომელიც მოსკოველმა სპეციალისტებმა გამოსცადეს, გამოირჩევა საუკეთესო თვისებებით. ამ წარმატებას ჩვენთან ერთად სამართლიანად იზიარებენ გორკელი ავტომობილმშენებლები, რომლებმაც შეიმუშავეს ავტომატარებლის მთელი რიგი კვანძები, იაროსლაველი ავტომშენებლები, რომლებმაც შექმნეს 160-ძალიანი დიზელის ძრავები, სარატოველები, რომლებმაც მოიგონეს მისაბმელების ორიგინალური კონსტრუქცია.

ქუთაისის ავტომქარხნის კოლექტივი, რომელიც არ წყვეტს ძირითადი პროდუქციის — უნაგირა საწევრებისა და ცნობილი ავტომატარებლების „კოლხეთის“ გამოშვებას, აფართოებს ახალი მანქანების წარმოებას. უკვე მეთერთმეტე ხუთწლედში სოფლებისათვის „კაზების“ გამოშვება წელიწადში ცხრა ათასამდე გაიზრდება.

გაზაფხულის ნიავი აფრიალებს ალმებს, რომლებიც მოგვაგონებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის მებრძოლთა წინელ დროშებს. მოედანზე შემოდიან ლენინისა და გლდანის რაიონების მშრომელთა კოლონები, რომლებიც თითქოს სიმბოლურად გამოხატავენ წარსულსა და აწმყოს. პირველი იყო საქართველოში რევოლუციური მოძრაობის აკვანი, მეორე — თბილისის ყველაზე ახალგაზრდა რაიონი, მეათე ხუთწლედის პირმშო.

ლენინის რაიონის წარმომადგენლებს მოაქვთ ტრანსპარანტები, რომლებზეც წერია პირველი ხუთწლედების გმირთა სადიდებელი სიტყვები. ბევრი მათგანი დემონსტრანტთა შორისაა. აი, თბილისის სტალინის სახელ

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა



ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეს!
ჩვენო ძვირფასო ხუტუმრებო!
ამხანაგებო!
მეგობრებო!

ახლა, როცა ლეონიდ ილიას ძე ტრიბუნაზე იდგა და ლაპარაკობდა, და ჩვენ ყველანი უდიდესი გულისყურით, სუნთქვაშეკრულნი ვუსმენდით მას, ყოველ ჩვენგანს ერთი და იგივე ფიქრები, ერთი და იგივე გრძნობები მოეძალა.

უწინარეს ყოვლისა, ეს გახლავთ მაღალი გრძნობა პარტიისა და ხალხის ცხოვრების ყოველ დიდმნიშვნელოვან მოვლენასთან საყოველთაო წილნაყარობისა. ასეთი მოვლენაა დღეს თბილისში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და მისი კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ღღესასწაულობის დღეს გამოდის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. შემდეგ, ეს გახლავთ მგზნებარე სურვილი სამუდამოდ, შენი სიცოცხლის ბოლომდე შეისისხლხორცო ეს მომენტი, ეს შეგრძნება: ლეონიდ ილიას ძე ყოველ ჩვენგანან ერთად, ყველა ჩვენს სტუმართან ერთად, მთელ ჩვენს ხალხთან ერთად იზიარებს ჩვენს ზეიმს, დღევანდელი დღის სიხარულს, ჩვენთან არის ლხინში. და, ბოლოს, ეს გახლავთ უდიდესი სურვილი ახლავე ეკავშირო სამუშაოს, დაუყოვნებლივ სახელოდაკაპიწებული შეუდგე საქმეს და პრაქტიკულად გადაწყვიტო ამოცანები, ახლა რომ წამოაყენა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ბევრი სასიხარულო, ღირსსახსოვარი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ცხოვრებაში. ეს გახლავთ მეათე ხუთწლედის ყველა ძირითადი მაჩვენებლის დაჯილებთა ვადამდე შესრულებაც, თქვენი გულითადი მოლოცვაც, ლეონიდ ილიას ძეს, და საქართველოს ზედიზედ მერვე დაჯილდოებაც გარდამავალი წითელი დროშით. ეს გახლავთ მაღალი შეფასებაც, თქვენ რომ მიეცით საქართველოს კომპარტიის მუშაობას საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXVI ყრილობისადმი. ეს გახლავთ რესპუბლიკის მუშაკთა დიდი ჯგუფის დაჯილდოებაც და ამასთან დაკავშირებით თვით ყრილობაზე ნათქვამი კეთილი, გულის სიღრმიდან მომავალი სიტყვები.

მაგრამ, ალბათ, ყველაზე დიდ შეფასებას, ყველაზე მაღალ ჯილდოს, შეიძლება ითქვას, ყოველთა ჯილდოთა ჯილდოს წარმოადგენს თქვენი ახლანდელი ჩამობრძანება თბილისში საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე. **(მჭუხარე ტაში).** და ამ ყველაზე მაღალი ჯილდოსათვის უდიდეს მადლობას გიძღვნით თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის, მთელი ჩვენი ხალხის სახელით. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ მუდამ გვეხსომება თქვენი დღევანდელი სიტყვა — შესანიშნავი, ღრმაშინაარსიანი, ლენინურად ბრძნული. ჩვენ ყველანი უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ჩვენი ნაღვაწის მაღალი შეფასებისათვის და ამავე დროს სრულად ვიღებთ სავსებით სამართლიან კრიტიკას ჩვენი მისამართით. პრობლემები და სერიოზული ნაკლოვანებანი ჩვენ, სამწუხაროდ, მართლაც საკმაოდ გვაქვს.

თქვენს მიერ დასახულ ყველა საკითხსა და ამოცანას ჩვენ უურადღებით შევისწავლით, გავაანალიზებთ და განვიხილავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, და მთელ პარტიულ აქტივთან ერთად შევიმუშავებთ კონკრეტულ ღონისძიებებს თქვენი გამოსვლის ყოველი დასკვნის, თითოეული დებულების განსახორციელებლად. თავს ნებას მივცემ აღვთქვათ, რომ ყველა თქვენს რჩევა-დარიგებას, რეკომენდაციას და მითითებას უთუოდ შევასრულებთ. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

თქვენთვის დამახასიათებელმა არაჩვეულებრივმა, უფაქიზესმა ტაქტმა, ლეონიდ ილიას ძეე, ამ საიუბილეო დღეებში ძვირი არ გთქმევინათ ჩვენს სხვა ნაკლოვანებებზე, არ გთქმევინთ უფრო მკაცრად, უფრო მომთხოვნელად. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რა ნაკლოვანებანია ეს, და რამდენი გვაქვს ისინი ეკონომიკაშიც, სახალხო მეურნეობის მართვაშიც, შინაგანი რეზერვების გამოყენებაშიც. ბევრი, ძალზე ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ დავძლიოთ მოდუნებისა და მოშვების, უდისციპლინობის ელემენტები. სამწუხაროდ, დღესაც გვიხდება იმის თქმა, რომ ბოლომდე არ ამოგვიძირკვავს ზოგიერთი ნეგატიური მოვლენა. ჯერ კიდევ გვაქვს ხარვეზები იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში.

ყოველივე ამას ჩვენ ვხედავთ, ყოველივე ეს ჩვენ ვიცით, ყოველივე ეს ცხადად და ნათლად გვაქვს შეგნებული. და სწორედ ეს გარემოება გვისახავს რწმენას, რომ არსებულ ნაკლოვანებებს დავძლევთ, თან — დავძლევთ საბოლოოდ!

დღეს, როცა თავის მე-60 წლისთავს ზეიმობს, საბჭოთა საქართველოს თითქოს თვალწინ უცოცხლდება თავისი ისტორია, იგი კიდევ და კიდევ ავლებს გონების თვალს 1921 წლის დაუვიწყარი თებერვლის დღეებიდან, იმ დღეებიდან გამოვლილ გზას, როცა საბჭოთა რუსეთი, უცხოეთის ინტერვენციით თავად დაუძლურებული, სამოქალაქო ომით გაჩანაგებული, გამოეხმაურა საქართველოს აჯანყებულ მუშათა და გლეხთა თხოვნას და მოძმე ხალხს დასახმარებლად მოუვლინა გმირული მე-11 წითელი არმია. ჩვენ კვლავ და კვლავ ვიხსენებთ ამ გზას, 1981 წლის ღირსსახსოვარ თებერვლის დღეებამდე, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე თქვენ, ლეონიდ ილიას ძეე, ძალზე მაღალი შეფასება მიეცით ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუშაობას.

60 წლის წინათ — 1921 წლის 25 თებერვალს —თბილისიდან მოსკოვში, კრემლში გაიგზავნა დეპეშა: „თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“. და რამდენიმე დღეში იქიდან, მოსკოვიდან თბილისში მოვიდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის წერილი: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“. **(ხანგრძლივი ტაში).**

ლენინი საქართველოში არ ყოფილა, თუმც კი ეწადა ჩვენთან ჩამოსვლა. მაგრამ მოსკოვიდან თბილისში მოდიოდა ლენინის წერილები კავკასიის კომუნისტებისადმი, უურადღებითა და მზრუნველობით აღსავსე ბარათები, რომლებშიც გვირჩევდა ყოველნაირად გახგვევითარებინა მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, უფრო სრულად გამოგვეყენებინა ბუნებრივი რესურსები, უდიდესი წიაღისეული სიმდიდრენი — ნავთობი, მანგანუმი, ქვანახშირი, სპილენძი, დაგვწყო ელექტრიფიკაციისა და რწყვის დიდი სამუშაოები, რაც, ვლადიმერ ილიას ძის თქმით, „ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.

გავიდა 60 წელი, და სწორედ მოსკოვში, კრემლში, ყრილობათა სასახლეში, სკკპ XVI ყრილობაზე შეხვდა საბჭოთა საქართველო თავის იუბილეს. სწორედ ყრილობაზე გვინდოდა ხაზგასმით აღგვნიშნა, რომ ჭეშმარიტად ლენინური მზრუნველობით, ლენინური სულისკვეთებით არის გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მთელი რიგი ფუნდამენტური დადგენილებანი, ამ ბოლო ათი წლის მანძილზე რომ გამოიტანეს საქართველოს კომუნისტებისა და მშრომელებისათვის, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე მიღებული დადგენილებით დაწყებული.

ამ ცნობილ დოკუმენტებს საფუძვლად დაედო თქვენი გამოსვლა თბილისში 1971 წლის საიუბილეო ზეიმზე, როცა თქვენ, ლეონიდ ილიას ძეე, მიგვითითეთ მთელ რიგ დიდ ნაკლოვანებებსა და ნეგატიურ მოვლენებზე, მოიქეცით ისე, როგორც ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, რომელიც ამბობდა, რომ წლისთავის დღესასწაულობის საუკეთესო საშუალებაა უურადღება მიგაპყროთ მის გადაუჭრელ ამოცანებს.

ასრულებდა რა პროგრამას, რომელიც თქვენ დაუსახეთ ათი წლის წინათ, საქართველოს სსრ რესპუბლიკამ წარმატებით გაართვა თავი მეათე ხუთწლედის გეგმას, ბევრად შეამცირა ჩამორჩენა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით და ახლა იგივე მაჩვენებლებით მოწინავე პოზიციებზე გადის.

ხუთწლედში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა გაიზარდა 42 პროცენტით და მეტად, წარმოებული ეროვნული შემოსავალი — 46 პროცენტით, მრეწველობის პროდუქციის წარმოების მატების ტემპმა შეადგინა 41 პროცენტი, სოფლის მეურნეობისამ — 34, სამშენებლოსამონტაჟო სამუშაოთა ხუთწლიანი პროგრამა შესრულდა გასული წლის 7 ნოემბრისათვის, ხარისხისნიშნიანი პროდუქციის მოცულობამ 21 პროცენტს გადააჭარბა.

საქართველოში საქმე კარგად მიდისო, ბრძანეთ თქვენ, ლეონიდ ილიას ძეე, და მეტად სასიხარულოა, რომ საქართველოს კომპარტია ირაზმება ახალი წარმატებების მისაღწევად მეთერთმეტე ხუთწლედში.

დიახ, მეთერთმეტე ხუთწლედში წარმატებათა მისაღწევად ჩვენ მართლაც ყველანი დარაზმულნი ვართ. საქართველოს კომუნისტებს, ყველა ჩვენს მშრომელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგან საერთო-საკავშირო, საერთო-სახალხო დოვლათში რესპუბლიკის წვლილის გადიდების გზაზე. მრეწველობის პროდუქციის წარმოება გაიზრდება 30-33 პროცენტით, სოფლის მეურნეობისა — 22-24 პროცენტით. სახალხო მეურნეობის განვითარების ასეთივე სწრაფი ტემპი უნდა შეეინარჩუნოთ მეთორმეტე ხუთწლედშიც.

ამ ხუთწლედში კარგი სტარტი ავიღეთ. ოთხ თვეში მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობის მატებამ შეადგინა 5,6 პროცენტი, შრომის ნაყოფიერებისამ— 4 პროცენტი, რის შედეგადაც მიღებულია სამრეწველო წარმოების საერთო მატების დაახლოებით სამი მეოთხედი. წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

როცა საბჭოთა საქართველოს მიერ გამოვლილ სამოცი წლის გზას მიმოვიხილავთ, გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენთვის ყოველივე ძვირფასია ამ გზაზე, ყოველივე ეს ჩვენია, ჩვენი ღვიძლია, ჩვენი სისხლი და ხორცია, ყოველივე ეს დიდი ჯაფისა და თავდადებული შრომის ფასად არის მოწეული. ჩვენ, ცხადია, ვამაყობთ ჩვენი ისტორიით, ჩვენი ძველთაძველი კულტურით, განსაკუთრებით კი ჩვენი რევოლუციური წარსულითა და იმ უდიდესი წვლილით, ქართველ რევოლუციონერთა ლენინურმა პლეადამ რომ შეიტანა სრულიად რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში.

მაგრამ ჩვენს უზენაეს სიამაყეს იწვევს დღევანდელი დღე, ჩვენი დროის, მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის ეპოქის ნაღვაწი და მონაპოვარი. ამასთანავე მთელი ჩვენი არსებით და აზრებით მივისწრაფვით მომავლისაკენ, ხვალინდელი დღისაკენ, და დარწმუნებულნი ვართ, ვიცით, რომ ის მნიშვნელოვანი საქმეები, ჩვენ რომ უნდა განვახორციელოთ, კიდევ უფრო მეტი პატივისცემის ღირსი იქნება, კიდევ უფრო მეტ სიამაყეს ჩაგვისახავს.

და ისევე როგორც წინა ათწლეულში, საქართველოს კომპარტია თანამიმდევრულად ახორციელებდა თქვენს მითითებებს, ლეონიდ ილიას ძეე, ასევე თქვენი დღევანდელი გამოსვლაც გახდება რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ცხოვრებისა და ბრძოლის კონკრეტული პროგრამა 80-იანი წლებისა და უფრო შორეული პერსპექტივისათვის. **(მჭუხარე ტაში).**

და სწორედ დღეს, ამხანაგებო, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყველა თავის წარმატებას საქართველო აღწევს საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში, მთელი საბჭოთა ხალხის დახმარებისა და უდიდესი მხარდაჭერის მეოხებით.

ხალხთა დიადი ლენინური მეგობრობა მატებდა და მატებს საბჭოთა საქართველოს ენერგიასა და შემოქმედებითს ძალებს ეკონომიკის აღმავლობისათვის ბრძოლაში. ხალხთა დიადი ლენინური მეგობრობაა ჩვენი კულტურის განვითარებაში მთავარნების წყარო. ხალხთა დიადი ლენინური მეგობრობის ნთელი აცისკროვნებს საბჭოთა საქართველოს მთელ 60 წლის გზას.

ეს გზა გაუჭრებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოხსენებაში, რომელიც სამი დღის წინათ გამოქვეყნდა გაზეთებში.

ამიტომ ვუძღვნით ჩვენს დღევანდელ სიტყვას მეგობრობას, ჩვენს ძმობას, ძვირფასო ამხანაგებო!

მეგობარი, მეგობრობა — რა შეედრება ამ სიტყვებს! მეგობრობა ხომ, როგორც ბრძენნ უთქვამს, სიცოცხლის მასულდგმელია. და მართლაც, ქვეყნად არაფერია მეგობრობაზე უკეთესი, ქვეყნად არაფერია მეგობარზე ძვირფასი.

დღეს მეგობრობისა და ძმობის დღესასწაულზე შეიკრიბა საბჭოთა ხალხების მთელი დიდი ოჯახი. და მეგობრობის სადიდებელი ჩვენი პირველი სიტყვით მივმართავთ ჩვენს უფროს ძმას ამ ოჯახში — დიდ, გენიალურ რუს ხალხს, — შემოქმედ ხალხს, რევოლუციონერ ხალხს. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

მოსკოვი... რა ბევრ სათქმელს შეიცავს ეს სიტყვა — რუსის გულში ჩაღერილი, რა ბევრ ფიქრს აღძრავს გამოძახილით! — წერდა პოეტი, და არა მარტო რუსის, არამედ უკლებლივ ყველა ადამიანის, ყველა ხალხის გულშიც.

მთელი ეს ექვსი ათწლეულია საბჭოთა საქართველო თვის დროს ამოწმებს მოსკოვის, კრემლის კურანტების — პლანტის უახლესი ისტორიის მთავარი საათის მიხედვით. კრემლის კურანტების სამაისო რეკვა ეხმიანება ჩვენს დღევანდელობას და ჩვენს მომავს. მოსკოვიდან, კრემლიდან, ისევე როგორც სამოცი წლის წინათ, საქართველოში მოდის წერილები, რომლებიც აღსავსეა ლენინური მზრუნველობითა და უურადღებით რესპუბლიკის კომუნისტთა საქმეებისა და გეგმებისადმი.

დაე, საგაზაფხულო მოსკოვის — რუსეთის ქალაქთა დედაქალაქის, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს გულის, პლანეტის მეცნიერული აზროვნების უდიდესი ცენტრის მადლი გადმოსხმოდეს ჩვენს დღევანდელ დღესასწაულს. და ჩვენ სულით და გულით მივესალმებით ძვირფას სტუმრებს, გმირი ქალაქის მოსკოვის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვიქტორ ვასილის ძე გრიშინის მეთაურობით. **(მჭუხარე ტაში).**

მაისი ზაფხულის აისია. და ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, ყოველ ქალაქში ამ თვალწარმტაც დროს თავისი განუმეორებელი ნალამაზე, თავისი ეშხი, თავისი ღაზათი აქვს.

ლენინგრადში თეთრი ღამეები დაიწყო. საამო სანაბავი ნევისპირა ქალაქი! იგი უსაზღვროდ ძვირფასია თითოეული ჩვენგანისათვის, ისევე როგორც უსაზღვროდ ძვირფასია ყოველი ადამიანისათვის სახე დიდი ლენინისა, რომლის სახელსაც ამაყად ატარებს ოქტომბრის რევოლუციის შშობელი ქალაქი. აქ გაისმა „აურორას“ ზალპი, რომლის ნიშანზეც ხალხები აღდგნენ ძველი სამყაროს შესამუსრად. აქ, პეტროგრადში იღებს სათავეს ჩვენი მესამეცე წლისთავიც. უმაგალითო ვაჟკაცობისა და სახელოვანი ტრადიციების ქალაქი — ლენინგრადი საბჭოთა საქართველოს სისხლი და ხორცი გახდა თავისი გმირული ისტორიით და სასიქადულო, მშვენიერი აწმყოთი.

და დღეს ჩვენ ვხარობთ, ძვირფასო ლენინგრადელებო, რომ ჩვენთან ხართ ლხინში, იზიარებთ ჩვენს დღესასწაულის სიხარულს. გაზიარებული მეგობრის სიხარული, — ეს ხომ ორმაგი სიხარულია. ჩვენ გულითადად მივესალმებით გმირ ქალაქ ლენინგრადის დელეგაციას პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ამხანაგ ნიკოლოზ იაკობის ძე სუსლოვის მეთაურობით. **(მჭუხარე ტაში).**

მხურვალედ და გულითადად მივესალმებით ჩვენს დღესასწაულზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ დმიტრი თევდორეს ძე უსტინოვს — ადამიანს, რომელმაც ესოდენ ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების, მისი შეიარაღებული ძალების — საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის ერთგული დარაჯის, საყოველთაო მშვიდობის ბურჯის — განსამტკიცებლად. **(მჭუხარე ტაში).**

ჩვენ ძალზე გვახარებს, რომ გვეწვია სახელგანთქმული, ლეგენდარული მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის მარშალი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი დიდად პატივცემული ივანე ქრისტოფორეს ძე ბაგრამიანი, რომელიც ღვიძლად არის დაკავშირებული თბილისთან. **(მჭუხარე ტაში).**

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით კოსმოსის დამპყრობთა სახელოვანი გვარდიის წარმოგზავნილს — სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს, ავიაციის გენერალ-მაიორს, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს ამხანაგ პეტრე ილიას ძე კლიმუკს. **(მჭუხარე ტაში).**

მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებთ რუს და ქართველ ხალხებს. თითქმის 200 წლის წინათ დამოყვრდნენ საქართველო და რუსეთი და თავიანთი მეგობრობა შეადუღაბეს გეორგიევსკის ტრაქტატით, რომელსაც ჩვენმა დიდმა მგოსანმა აკაკიმ უწოდა „ორთა კავშირი... კავშირი ძმური და მეგობრული“. ქართველი საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლები ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით მუდამ ხედავდნენ საქართველოს სოციალური და ეროვნული განთავისუფლ ებ ი ს გზას მშიდრო ერთიანობაში რუსეთის რევოლუციურ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან.

და დღეს საბჭოთა რუსეთს — ძმათა შორის უფროსს — წამყვანი ადგილი უკავია საერთო-საკავშირო სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. იგი მძლავრი ფეხვივით ასაზრდოებს ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკას.

შესანიშნავია დიადი და მძლავრი რუსული ენა — ლენინის ენა. იგი ერების ურთიერთობის ენად იქცა. სწორედ რუსული ენის წყალობაა, რომ ქართულ კულტურას, ქართულ ლიტერატურას ეზიარა ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მრავალი ხალხი.

და ყველა აქ მყოფი ამხანაგის სახელით ჩვენ მხურვალედ, მთელი სულით და გულით მივესალმებით დღეს საბჭოთა რუსეთის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ მიხეილ სერგის ძე სოლომენცევის მეთაურობით. **(მჭუხარე ტაში).**

კიევში ახლა მაისია — უკრაინულად „ტრავენი“, ჩვენებური ვარდობისთვის შესატყვისი. ყვავის კრეშჩატიკის განთქმული წაბლის ხეები. და ეს ყვავილობა საუცხოოდ გამოხატავს 50-მილიონიანი აყვავებული უკრაინის — ჩვენი ძვირფასი, ღვიძლი ძმის იერსახეს. ქვეყნის ეკონომიკაში უდიდესი წვლილი შეაქვთ უკრაინის მშრომელებს. სახელგანთქმული ქვანახშირის აუზები, მძლავრი ელსადგურები, მეტალურგიული და მანქანათსაშენებელი ქარხნები, ასეთია ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო ცენტრის — რესპუბლიკის დღევანდელი დღე.

ზაპოროჟიელ და რუსთაველ მეტალურგთა „მეგობრობის ნადნობი“, ნიკოპოლელ და ჭიათურელ მაღაროელთა, გენიჩესკელ და მახარაძელ მიწათმოქმედთა ტრადიციული შეჯიბრება — ყოველივე ეს ჩვენი ხალხების ძმური ურთიერთობის ნიშანსვეტებია.

ჩვენი ხალხების გულისთქმას ყველაზე მეტად გაეხმიანა მგოსნის ქნარი: ტარას შევჩენკო დიდი კობზარი გახდა ქართველი ხალხისთვისაც, დავით გურამიშვილმა მეორე სამშობლო პოვა უკრაინის მიწა-წყალზე, ხოლო საქართველოს ცის ქვეშ ღესია უკრაინის ლირიკული საგალობელი გაისმოდა.

მთელი ის სულიერი ღირებულებანი, წარსულში რომ შეუქმნიათ ჩვენს ხალხებს, უსაზღვროდ ძვირფასია ყოველი ჩვენგანისათვის. მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო ფასეულად მივიჩნევთ უკრაინული და ქართული კულტურების დღევანდელ ღირებულებებს, რომელთა ურთიერთგამდიდრება და ორმხრივი გავლენა არა მარტო გრძელდება სახელოვან ტრადიციათა საფუძველზე, არამედ განვითარების თვისებრივად ახალ დონეზეც აიყვანეს ეს სულიერი სიმდიდრენი.

ჩვენ მუდამ გვახსოვს ეს, და ამიტომაც მივმართავთ უმხურვალესი მისალმების სიტყვებით საბჭოთა უკრაინის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვლადიმერ ვასილის ძე შჩერბიცკის მეთაურობით. **(მჭუხარე ტაში).**

მეგობრობა არ ბერდება. იგი წლითიწლობით მტკიცდება, იკრებს ახალ ძალებს. ასეთი მეგობრობა გვაკავშირებს მოძმე ბელორუსიასთან, რომელიც სოციალისტური მშენებლობის წლებში მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ, აგრარულ რესპუბლიკად იქცა და ასევე შეაქვს თავისი უდიდესი წვლილი ქვეყნის ეკონომიკაში. ამ მეგობრობისა და ამ ძმობის განსახიერებაა „ბელაზები“, რომლებიც გვეხმარებიან ვაშენოთ ჰიდროელექტროსადგურები ენგურის ნაპირებზე, და უნიკალური „ბელარუს“ ტრაქტორები, რომლებიც მთელი ქვეყნის მხვნელ-მთესველთა, მევენახეთა, მებაღეთა საიმედო თანაშემწენი გახდნენ.

თბილისს თავს წამოსდგომია სიმბოლური ფიგურა — ქართველის დედა, რომელსაც ერთ ხელში ღვინის თასი უჭირია — მოყვრისათვის, და მეორეში მახვილი — მტერ-დუშმანისათვის. კეთილი გრძნობებითა და ძმური სიყვარულით სავსე თასს აწვდის დღეს ჩვენი რესპუბლიკა, მთელი ჩვენი ხალხი საბჭოთა ბელორუსის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ტიხონ იაკობის ძე კისელიოვის მეთაურობით. **(მჭუხარე ტაში).**

ბამბა არც ისე მსუბუქი ყოფილა, როგორც ამბობდნენ — შარშან ხომ უზბეკეთმა ქვეყანას 6 მილიონი ტონა თეთრი ოქრო მისცა. ეს დიდი შრომითი გამარჯვებაა, და რესპუბლიკა ასეთ გამარჯვებებს ყოველ წელიწადს აღწევს ბუნებასთან მძიმე ბრძოლაში.

დღევანდელი უზბეკეთი, ამასთანავე, ეს არის მსხვილი მრეწველობა, ეს არის სულიერი კულტურის ახალი აღმაფრენა და ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავება.

შორია თბილისიდან ტაშკენტამდე. მაგრამ მეგობრობა სიშორეს არ დაგიდევს. ამის დასტურია რუსთაველის ქუჩა უზბეკეთის დედაქალაქში და ტაშკენტის ქუჩა — საქართველოს დედაქალაქში. ამის დასტურია საცხოვრებელი კორპუსები, ტაშკენტში რომ ააგეს თბილისელმა მშენებლებმა და თბილისში რომ ააშენეს მათმა უზბეკმა მეგობრებმა. ეს სახლები ჩვენთვის ძვირფასია, უწინარეს ყოვლისა, როგორც ურთიერთდახმარების სიმბოლო, როგორც მეგობრის მტკიცე, საიმედო ხელი. და ჩვენ სულით და გულით მივესალმებით საბჭოთა უზბეკეთის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ შარაფ რაშიდის ძე რაშიდოვის მეთაურობით. **(მჭუხარე ტაში).**

„ყაზახური მილიარდი“ — ეს გამოთქმა უკვე ჩვეული გახდა. სწორედ ამდენ ფუთ პურს გვაძლევს ყოველწლიურად ყაზახეთი, რომელიც რუსეთის ფედერაციასა და უკრაინასთან ერთად შეადგენს ჩვენი დიადი ქვეყნის სასურსათო ფონდის საფუძველს.

ყაზახეთს, როგორც ლეონიდ ილიას ძემ ბრძანა, ეკონომიკისა და კულტურის ნამდვილი აყვავების ხანა დაუდგა.

რაც შეეხება ყამირის ეპოპეას, რომელსაც სათავეში ედგეთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეე, იგი გახდა არა მარტო პურისათვის ბრძოლა, არამედ საბჭოთა ადამიანების ვაჟკაცობის სკოლაც. ყაზახეთში ადამიანმა გატეხა ყამირი, ყამირმა კი ვერ გატეხა ადამიანი. აქ გამოიბრძმედა და გამოიწრთო მთელი თაობის, მათ შორის საქართველოს ახალგაზრდობის წარგზავნილთა ხასიათი. ყოველივე ამისათვის ჩვენ უსაზღვროდ მადლიერნი ვართ ყაზახეთის კომუნისტებისა, ყველა მშრომელისა, თვით ყაზახეთის მიწა-წყალისა. და სწორედ დღეს, როცა სამაისო ალმა-ათა გაფურჩქვნილი ვაშლის ყვავილებით არის გადაპენტილი, მინდა ვთქვა ეს, და გულითადად მივესალმო საბჭოთა ყაზახეთის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ დინმუხამედ ა ამ ე დ ის ძე კუნაევის მეთაურობით. **(მჭუხარე ტაში).**

კარის მეზობელი ნათესავზე ახლობელიაო, ამბობს ხალხური სიბრძნე. ჩვენი ასეთი მეზობელია ჩრდილოეთის ქვეყანა — მოძმე აზერბაიჯანი.

ფართოდ მიაბიჯებს აზერბაიჯანი! — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ამ სიტყვებით, რომელიც უკვე ფრთოსანი გახდა, მოძმე რესპუბლიკა საქვეყნო მასშტაბის ნაბიჯებს დგამს სახალხო მეურნეობის განვითარების გზაზე. ათობით დასახელების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციას უშვებს ახლა აზერბაიჯანი. ბევრ ქალაქშია ცნობილი აქაური კონდიციონერები, და ბაქოელებს ყველა საფუძველი აქვთ თქვან, რომ ისინი უმქნიან საბჭოთა ადამიანებს კარგ მიკროკლიმატს სამუშაოზე და შინ. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).** სულ უფრო შორს მიაბიჯებენ ზღვაში ნავთობის კოშკურები. წლითიწლობით სულ უფრო მაღლა მიიწევს ბამბის მთები, სულ უფრო მეტი ყურძენი იკრიფება.

არასდროს არ წაიშლება თაობათა ხსოვნაში ლეგენდარული ბაქოს რევოლუციური გმირობა, 26 უკვდავი კომისრის გმირობა. დღეს თბილისში, სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების ქალაქში, ჩვენ, გულითადად მივესალმებით საბჭოთა აზერბაიჯანის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ გეიდარ ალის ძე ალიევის მეთაურობით. **(მჭუხარე ტაში).**

ახლა ვილნიუსში, ლენინის მოედანზე, იასამანი ყვავის: ყველგან იგრძნობა მაისის — „გეგუეესის“ სუნთქვა. საბჭოთა ლიტვას — ცისფერი ტბებისა და ქარვის ზღვისპირეთის მხარეს — დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში. ეს გახლავთ ელექტრონიკა, ელექტროტექნიკა და რადიოტექნიკა, გამოთვლითი ტექნიკა, ხელსაწყოთმშენებლობა და ჩარხმშენებლობა, გემთმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა — მთელ ქვეყანაში ფართოდ ცნობილი პროდუქცია.

(დასასრული მე-4 გვ.).

თბილისი, კონსტიტუციის მოედანი: მშვიდობის, მეგობრობის, გაზაფხულის მარში

(დასასრული)

სანამ პირველი მაისის რაიონის მშრომელები შემოვიდოდნენ მოედანზე, ჩვენ ვესაუბრეთ სსრ კავშირის 50 წლის თავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ელექტრომეტალურგიული კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელს ლ. რაზმაძეს. მან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, თავის ამხანაგებთან ერთად სამოწლონახევრის განმავლობაში შეასრულა მეათე ხუთწლედის დავალება. და აი რესპუბლიკის იუბილეს წინ ახალი შრომითი გამარჯვება: შესრულდა ნახევარი წლის გეგმა!

— ჩვენი პარტია, — თქვა ლ. რაზმაძემ, — ძალ-ღონეს არ იშურებს დედამიწაზე მშვიდობის შესანარჩუნებლად. ეს ერთხელ კიდევ მთელ დამაჯერებლობით გამაცხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გუშინდელ საზეიმო სხდომაზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მხურვალედ ვუჭერთ მხარს სამშვიდობო წინადადებებს, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობის ტრიბუნიდან წამოაყენა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. მან ხომ თვითონ გაიარა ომის მძიმე გზები, კარგად იცის, რა მოაქვს ომს ადამიანებისათვის. დღეს არა არის რა იმზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე მშვიდობის დაცვა. ჩვენ კი, მუშათა კლასს წარმომადგენლები, ყველაფერს ვიღონებთ, რათა

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

(დასასრული)

ლიტვაში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის დაახლოებით 70 პროცენტი უკავია მეცხოველეობას. აი, რატომ არის, რომ თავიანთი ლიტველი დობილების მოწინავე გამოცდილებას ეწაფებიან ქართველი მწველავები, იბრძვიან რა მეცხოველეობის, იმ დარგის შემდგომი აღმავლობისათვის, რომელიც დღეს, ლეონიდ ილიას ძის თქმით, დამკვრელური ფრონტია სოფლად.

საგრძნობი წარმატებები მოიპოვეს ლიტვის მშრომელებმა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაში, რაც აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა კომუნისტთა საკავშირო ფორუმზე. და ამ წარმატებას ჩვენ სულით და გულით ვუღოცავთ საბჭოთა ლიტვის დელეგაციას ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ პიატრას პიატრის ძე გრიშკევიჩუსის მეთაურობით. **(მქუხარე ტაში).**

ქვეყანაში მოწეული ყურძნის თითქმის მეოთხედს ამზადებენ ჩვენი მოლდაველი მეგობრები, და, რა თქმა უნდა, შემთხვევითი როდია, რომ მოლდავეთის ველებს, ისევე როგორც საქართველოსას, ყურძნის მტევანი, ვაზის რქა ამშვენებს. მაგრამ მარტოდენ ვაზის რქა — ბუნებისა და გლეხკაცის მარჯვენის ეს გასაოცარი ქმნილება—როდი აახლოებს ჩვენი რესპუბლიკების მეურნეობებს, ჩვენს ხალხებს. ჩვენში, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში, ფართოდ ვიყენებთ მოლდაველი ამხანაგების გამოცდილებას მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში, სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დარგში.

დღეს ჩვენს ზეიმზე სახარულით მივესალმებით საბჭოთა მოლდავეთის დელეგაციას მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ივანე პეტრეს ძე კალინის მეთაურობით. **(მქუხარე ტაში).**

რიგა და თბილისი დამოყვრებული ქალაქები არიან. მათი ურთიერთობა და მეგობრობა დღითი დღე მტკიცდება. და ჩვენ დიდი სიხარულით აღვიქვით ის მაღალი შეფასება, სკკპ XXVI ყრილობაზე რომ მიეცა ლატვიის პარტიული ორგანიზაციის მუშაობას, რომელმაც შეძლო შრომითი კოლექტივები, მართვისა და დაგეგმვის ყველა რგოლი დაერაზმა მრეწველობის პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად.

სიმბოლურია, რომ ლატვიის მრეწველობის მთავარი დარგები —მანქანათმშენებელი, რადიოტექნიკური — ადამიანებს ეხმარებიან მეგობრული ურთიერთობის დამყარებაში. ამ მიზნებს ემსახურება მთელ ქვეყანაში კარგად ცნობილი მაღალი კლასის რადიომიმღებები, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ტელეფონის აპარატები, თანამედროვე ტრამვაის ვაგონები, მიკროავტობუსები. კეთილხარისხოვანი, კარგი პროდუქციაა: იგი ამცირებს მანძილს, ანაჩენებს ადამიანებს მეგობრული ურთიერთობის სიხარულს.

დღეს გულითადად მივესალმებით ჩვენს დღესასწაულზე საბჭოთა ლატვიის მშრომელებმა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაში, რაც აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა კომუნისტთა საკავშირო ფორუმზე. და ამ წარმატებას ჩვენ სულით და გულით ვუღოცავთ საბჭოთა ლიტვის დელეგაციას ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ პიატრას პიატრის ძე გრიშკევიჩუსის მეთაურობით. **(მქუხარე ტაში).**

ქვეყანაში მოწეული ყურძნის ნახევარზე მეტი — ეს ჩვენი ერის ერთ-ერთი ტრადიციაა. ეს ეხება ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის, ბალკანეთის, ყირიმის ხალხს. ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაბა უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების მხარე.

ყირგიზეთის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის დღეკანდელი შრომა მკაფიო მაგალითია იმისა, თუ როგორ იმორჩილებს ადამიანი ბუნების ძალებს და როგორ აქცევს მათ ჩვენი დიადი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სამსახურში. უდიდესი ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია, ფერადი ლითონების აურაცხელი მარაგი, სოფლის მეურნეობის მრავალფეროვანი პროდუქცია, მეცხვარეობის შემდგომი განვითარება — ასეთია ყირგიზეთის წვლილი საერთოსაკავშირო დოვლათში.

სულით და გულით მივესალმებით დღეს საბჭოთა ყირგიზეთის დელეგაციას ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ტურდაკუნ უსუბალის ძე უსუბალიევის მეთაურობით. **(მქუხარე ტაში).**

ქვეყნიერების ბანზე — პამირზე გადაშლილია საბჭოთა ტაჯიკეთი. ტაჯიკ ხალხს, სალ კლდესავით უტეხს, მთის მდინარესავით ბობოქარს, საერთო-სახალხო ყუდაბაში შეაქვს ნურეკის ელექტროენერგია და განსაკუთრებით ძვირფასი ნაზბოჭკოიანი ბამბა და ბევრი სხვა რამ.

ტაჯიკეთი უძველესი და თავისთავადი კულტურის ქვეყანაა, რომლის ერთ-ერთმა სასიქადულო წარმომადგენელმა — კაბუსმა, XI საუკუნის ტაჯიკმა პოეტმა, თქვა: „ერთგული მეგობარი უდიდესი განძიაო“. ჩვენი ტაჯიკი მეგობრები ამის საუკეთესო მაგალითს იძლევიან. და ჩვენც ულრმესი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით მივესალმებით დღეს საბჭოთა ტაჯიკეთის დელეგაციას, რომელსაც საფეიქრო ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ჯაბარ რასულოვი. **(მქუხარე ტაში).**

სომხეთი და საქართველო საუკუნეებმა დაამოყვრა. ერთი დრამა გვაერთიანებდა საუკუნეთა მანძილზე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. წლითიწლობით მკვიდრდებოდა ჩვენი ძმობა, სულ უფრო მტკიცე ხდებოდა მეგობრული ურთიერთობა. მაგრამ ის, რაც სომხეთში მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე, აღგვაფრთოვანებს, გვისახავს უდიდესი პატივისცემის გრძნობას მისი გამრჯე, გმირი ხალხისადმი. გიზარდა მზეთუნახავი ქალაქი — მილიონიანი ერევანი. გაყვანილია არფა-სევანის ორმოცდაათკილომეტრიანი გვირაბი. აშენდა ატომური ელექტროსადგური, მეტროპოლიტენი.

განსაკუთრებით გვამოყვრებს ჩვენ სულიერი კულტურა — პოეზია და არქიტექტურა, სახვითი ხელოვნება და მუსიკა. სულიერი მოყვრობა ის ფენომენია, რომელსაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ჩვენი ხალხები, რომელსაც რუდუნებით იცავდნენ სტეფანე შაუმიანი და სერგო ორჯონიკიძე, ალიოშა მიასნიკიანი და ფილიპე მახარაძე, ოვანეს თუმანიანი და ილია ჭავჭავაძე, ავეტიქ ისააკიანი და გალექტიონ ტაბიძე.

დღეს ჩვენ გულითადად ვულოცავთ პარტიის XXVI ყრილობაზე მიღებულ მაღალ შეფასებას და სულითა და გულით მივესალმებით მომმე საბჭოთა სომხეთის დელეგაციას სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ კარენ სეროფის ძე დემირჭიანის მეთაურობით. **(მქუხარე ტაში).**

კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ყარაყუმი, რომელსაც თურქმენეთის მთელი ტერიტორიის დაახლოებით 80 პროცენტი უკავია, ტრიალ, დადახრუკულ უდაბნოს წარმოადგენდა. ახლა კომუნისტების, მთელი ხალხის ნებამ და კარჯამ მას სახე უცვალა და აყვავებულ მხარედ გადაქცია.

დღევანდელი თურქმენეთი — ეს არის ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი. შუა აზია — ცენტრის მაგისტრალური გაზსადენი, რომელიც ყოველდღიურად 170 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი თურქმენული ცისფერი ოქრო გადის, მეგობრობისა და ძმობის მაგისტრალი გახდა. განთქმულ თურქმენულ ყარაკულთან ერთად ოდითგან ფასობს თვალწარმტაცი თურქმენული ხალიჩა, რომელიც რესპუბლიკის სახელმწიფო გერბს ამშვენებს.

ჩვენ მოხარული ვართ დღეს ამ სადღესასწაულო მშვენიერ დარბაზში, ნაირფერ თურქმენულ ფიანდაზს რომ მოგვაგონებს, მივესალმოთ საბჭოთა თურქმენეთის დელეგაციას თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ბალი იაზყულიევის მეთაურობით. **(მქუხარე ტაში).**

ოდესღაც საქართველოდან ბალტიისპირეთში, ხოლო ბალტიისპირეთიდან საქართველოში ასახლებდა მეფის მთავრობა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას, რათა დაეშორებინათ ჩვენი ხალხები, მათ შორის, ესტონელი და ქართველი ხალხები. მაგრამ არაფერი არ აახლოვებს ისე ადამიანებს, როგორც განმათავისუფლებელი იდეები, როგორც დემოკრატიის, მშობლიური მიწა-წყლის ღირსებისა და დამოუკიდებლობის იდეალები. ჯერ კიდევ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე ასობით ქართველი ჭაბუკი დააყენა გზაზე განთქმულმა ტარტუს უნივერსიტეტმა.

სოციალიზმის გამარჯვებამ უზრუნველყო ესტონეთის სახალხო მეურნეობის დინამიკური ზრდა, რომელიც ყველაზე მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის ბაზაზე ვითარდება. და დღეს ჩვენ მხურვალედ მივესალმებით მომმე საბჭოთა ესტონეთის დელეგაციას, რომელსაც სათავეში უდგას ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ივანე გუსტავის ძე კებინი. **(მქუხარე ტაში).**

თბილისი მეგობრობისა და ძმობის ქალაქია. აქ რამდენმე ათეული ეროვნების ადამიანები ცხოვრობენ, და ყოველმა თბილისელმა იცის კეთილი მეზობლობის ფასი, მეზობლობისა, რომელიც ძმობის სადარია. ამიტომაც მივესალმებით, ამხანაგებო, ასეთი სიხარულით ამ დღესასწაულზე ჩვენს ძვირფას მეზობლებს — კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეთა, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სოციალისტურ ეკონომიკურ ფენომენებს, რომლებსაც სათავეში უდგანან ამხანაგები სერგი თევდორეს ძე მედუნოვი, ვსევოლოდ სერაპონის ძე მურახოვსკი, მაგომედ-სალამ ილიასის ძე უმახანოვი, კიშუკ საგიდის ძე კუშხოვი, ბილარ ემაზაის ძე კაბალოევი და ალექსანდრე ვლადიმერის ძე ვლასოვი. **(მქუხარე ტაში).**

ყოველ მხარესთან, თითოეულ ავტონომიურ რესპუბლიკასთან უმჭიდროესი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა გვაკავშირებს... კრასნოდარი, სტავროპოლი, მახაჩყალა, ნალჩიკი, ორჯონიკიძე, გროზნო — ამ ექვს ქალაქს, ექვს ზღაპრულ ძმასავით, მტკიცედ ჩაუკიდია ხელი ერთმანეთისათვის და ნათელი მომავლისაკენ მიაბიჯებენ. ამ ქალაქებიდან თითოეული საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისს უღებს ფართო კარიბჭეს საბჭოთა რუსეთში, ქვეყანაში, რომელთან სიახლოვე და ღვიძილ კავშირი განსაკუთრებით ძვირფასი და წმიდათა წმიდაა ყოველი ჩვენგანისათვის.

მხურვალედ, სულითა და გულით მივესალმებით ჩვენს დღესასწაულზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებს: ამხანაგებს: ანდრია მიხეილის ძე ალექსანდროვს, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ინოზემცევს, ზინაიდა მიხეილის ასულ კორეგლოვას, გიორგი ემანუილის ძე ცუკანოვს; ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებს: ამხანაგებს ანატოლი ივანეს ძე ბლატოვს, ერლენ კირიკის ძე პერვიშინს. **(მქუხარე ტაში).**

მოხარული ვართ დღეს აქ ჩვენს ძვირფას სტუმრებს შორის ვიხილოთ ამხანაგები მიხეილ ესტატეს ძე მოგილევეიცი, ვლადიმერ ევგენის ძე ოდინცოვი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბლოხინი, ნიკოლოზ ათანასეს ძე პონომარიოვი, პეტრე ალექსანდრეს ძე როდიონოვი, მიხეილ ვასილის ძე პოსოხინი, ჟურნალისტთა სახელოვანი გვარდიის წარმომადგენლები — პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკები, ყველა ჩვენი ძვირფასი მეგობარი, ვინც მოისურვა ყოფილიყო აქ, ჩვენთან ერთად, და ისინი, ვინც დღეს აზრით ჩვენთან არიან ამ დარბაზში მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების წყალობით.

და სწორედ დღეს, ჩვენთვის ამ, შეიძლება ითქვას, სვებედნიერ ჟამს, გვგონდება ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები:

—მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ერთიანობა ალმასივით მტკიცეა. და როგორც ელვარებენ ნაირფრად ალმასის წახნაგები, ისე აელვარებს ჩვენი ხალხის ერთიანობას მრავალფეროვნება მისი შემადგენელი ერებისა, რომელთაგან თითოეულს ასულდგმულებს მდიდარი, მჩქეფარე, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება.

რა კარგად, რა ხატოვნად არის ნათქვამი! რაოდენ ღრმა აზრია ჩაქსოვილი ამ მრავლისმეტყველ სიტყვებში!

დამეთანხმებით, ძვირფასო ამხანაგებო, რომ ამ შესანიშნავი სიტყვების ცოცხალი, თვალსაჩინო დასტურია ჩვენი დღევანდელი საზეიმო სხდომა, თვით ეს სადღესასწაულოდ მორთული, ნაირფრად მოელვარე, ყვავილებით დამშვენებული დარბაზი, სადაც თავი მოუყრიათ ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს, ყველა იმ მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის წარმოგზავნილებს, რომლებიც შეადგენენ ერთიან მძლავრ საბჭოთა კავშირს, ქვეყანას, მდიდარი, მჩქეფარე, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება რომ ასულდგმულებს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

და ჩვენი დღესასწაულის სულისკვეთებას, მის დედაარსს, მის ძირითად შინაარსს ყველაზე უკეთ ესატყვისება ის შესანიშნავი საუბარი, რომელიც თქვენ უბოძეთ დღეს, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, საბჭოთა საქართველოს მეორე-60 წლისთავის ზეიმზე. დიდი მადლობა თქვენდა! ეს შესანიშნავი ტალო, რომელიც მხატვრულად გახასიათებერებს პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა თანასწორობისა და მეგობრობის პოლიტიკის გამარჯვებას, მუდამ გვექნება ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის საქართველოში ჩამოსვლის კეთილ მოსაგონრად. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო!

ჩვენი პარტიის განვითარების შინაგანი კანონები ისეთია, რომ იგი შობს, ზრდის, აწრთობს და აყალიბებს ლენინური ტიპის, ლენინური ყაიდის ხელმძღვანელებს, წინამძღოლებს, ლიდერებს, რომლებიც მომწიფებულ ისტორიულ სიტუაციაში კისრულობენ უდიდეს პასუხისმგებლობას, მიუძღვიან პარტიას ლენინის გზით.

პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში ასეთი ისტორიული შემობრუნების პუნქტი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმი. დაუფარავად, გულახდილად გეტყვით: ამ პლენუმს ყველანი დიდხანს ველოდით. და მისი გადაწყვეტილებანი, თუ გნებავთ, ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის წვითა და დაგვით არის მოპოვებული, სოციალიზმის, კომუნიზმის და მშვიდობისათვის ბრძოლის ბედისთვის ამ გადაწყვეტილებათა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა დაადასტურა მთელმა შემდგომმა მოვლენათა მიმდინარეობამ.

ჩვენი ეპოქის ასეთი დიდი, უთვალსაჩინოესი პიროვნებაა ჩვენი ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ოქტომბრის პლენუმი ჩვენი პარტიის ისტორიაში შევიდა იმით, რომ მან გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ისეთი საშიში, მე ვიტყოდი, ანტიხალხური, ანტიპოდური, მარქსისზმ-ლენინიზმისათვის უცხო მოვლენების დაძლევაში, როგორიც იყო სუბიექტივიზმი, ვოლუნტარიზმი და სხვა გადახვევები პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებისაგან. და ამაში უდიდესი, გადამწყვეტი ღვაწლი მიუძღვის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. **(მქუხარე ტაში).**

მას შემდეგ, რაც ლეონიდ ილიას ძე სათავეში ჩაუდგა ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, მთელ პარტიაში იმძლავრა შემოქმედების სულისკვეთებამ, ინიციატივის სულისკვეთებამ და დიდი დემოკრატიზმის სულისკვეთებამ. როგორც ლეონიდ ილიას ძემ ბრძანა, ნამდვილი ამხანაგობის სულისკვეთებამ. **(მქუხარე ტაში).**

როცა რესპუბლიკის მიერ 70-იან წლებში მიღწეულ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს მარტოდენ ტრიუმფული წინსვლა-განვითარების წლები როდი იყო. ამ პერიოდში გვქონდა სიძნელეებიც, გვქონდა გარკვეული სირთულეებიც, გვქონდა შეცდომებიც. მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის განჯანსაღებისა და პოზიტიური ტენდენციების დამკვიდრების პროცესი ერთგვაროვანი როდი იყო. იგი უთანაბროდ, ძნელად, ზოგჯერ კი მტკივნეულადაც მიმდინარეობდა. და თუ ჩვენ მიინც ვიგრძნებდით რთული პრობლემების სწორ, უტყუარ გადაწყვეტას, ამაში მთავარი როლი ისევ ჩვენს ძვირფას ლეონიდ ილიას ძეს ეკუთვნის. მერწმუნეთ, ლეონიდ ილიას ძევ, ჩვენმა ხალხმა კარგად იცის ეს და დიდადაც აფასებს ამას. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა მუშაობის ის მეცნიერული სტილი და მეცნიერული მეთოდები, რომლებიც განვითარებული სოციალიზმის, ჩვენი თანამედროვე ეპოქის ბუნებიდან შეესაბამება. მას ახასიათებს გასაოცარი უნარი — შეარჩიოს, შეაკავშიროს, დარაზმოს ადამიანები დიდმნიშვნელოვანი და რთული ამოცანების გადასაწყვეტად. ამასთან ეყრდნობოდეს ყოველივე პოზიტიურს, დადებითს ტენდენციებს.

უსაზღვრო ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა და ჭეშმარიტად ლენინური უბრალოება ლეონიდ ილიას ძის პიროვნებაში ერწყმის მაღალ მომთხოვნელობას და ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობას, გამჭრახობას და სიმტკიცეს, პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების, სოციალიზმისა და კომუნიზმის ინტერესების უსაზღვრო ერთგულებას. და ეს კარგად იციან როგორც ჩვენმა მეგობრებმა, ისე მტრებმაც მთელ მსოფლიოში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა წვლილი შეიტა განვითარებულ სოციალიზმის მთლიანი, მწყობრი კონცეფციის, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს საერთოსახალხო სახელმწიფოდ გადაზრდის, ადამიანთა ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობის — საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბების თეორიის შემუშავებას.

ლეონიდ ილიას ძემ გაამდიდრა ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ, დაასაბუთა ის დებულება, რომ განვითარებული სოციალიზმის პირობებში განუხრელად იზრდება ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა, რომელიც მთელი ხალხის ავანგარდი, მთელი ხალხის პარტია გახდა.

ლეონიდ ილიას ძის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული გრანდიოზული მშვიდობის პროგრამის შემუშავება და ქვეყნად მშვიდობის საქმის დაცვა.

ლეონიდ ილიას ძე დღესაც შთაგონებით ლაპარაკობდა კაცობრიობის ბედნიერი მერმისისა და პროგრესის საკეთილდღეოდ მშვიდობის შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ, როცა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის პოზიცია ჩამოაყალიბა. როგორც უკვე ითქვა, ჩვენ ვამჯობინებთ მშვიდობას, რომლის დროსაც შეიარაღების დონე სულ უფრო კლებულობს, ხოლო ყველა დარგში თანამშრომლობის მასშტაბი და ხარისხი მატულობს და იხვეწება. ამასთანავე, თუ დაგვჭირდა, ჩვენ გამოვნახავთ სათანადო საშუალებებს, რათა დავიცვათ ჩვენი საარსებო ინტერესები.

ჩვენი რესპუბლიკა, მთელი ჩვენი ხალხი მხურვალედ უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის საგარეოპოლიტიკურ კურსს და ასეთი პოლიტიკა თავიანთ ღვიძლ საქმედ მიიჩნიან. ჩვენ საქვეყნოდ ვიცხადებთ, რომ საბჭოთა საქართველო, ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკა მუდამ იქნებიან ყველა ქვეყანა ახალი შრომითი გამარჯვებით!

დაე, მუდამ გამარჯვებული და აყვავებული იყოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ოჯახში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას, რესპუბლიკის მშრომელთა ავანგარდს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნაცად, მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ხამდვილი მეგობრობის სამშობლოს, ჭეშმარიტი ძმობის სამშობლოს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და მის მეთაურს ჩვენს ძვირფას, დიდად პატივცემულ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგ ვ. ვ. გრიშინის სიტყვა



სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

ძვირფასო ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა და მთავრობას, ყველა მშრომელს ძმურად მივესალმო და გულითადად მივულოცო სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის მშრომელთა სახელით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 60 წლის თავი. **(მქუხარე ტაში).**

საქართველოს სს რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის ღირსშესანიშნავი იუბილე დიდი და სასიხარულო დღესასწაულია საქართველოს ძველ ძალ-ღონით აღსავსე მიწა-წყალზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში აღნიშნულია, თუ რა დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამ იუბილეს და მაღალი შეფასება ეძლევა რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებს.

ზეიმს განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და სადღესასწაულო ელფერს ანიჭებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, ჩვენი ძვირფასი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მონაწილეობა. **(ტაში).** თქვენთან ერთად ვიზიარებთ იმ სიხარულსა და სითბოს, რომლითაც საქართველოს მშრომელები მასპინძლობენ ძვირფას სტუმარს. **(ტაში).**

ამ სხდომაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ შესანიშნავ და ღრმაშინაარსიან სიტყვაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები რესპუბლიკის ისტორიული გზა, საქართველოს სს რესპუბლიკის დიდი წვლილი ჩვენი ქვეყნის საერთო დოვლათში, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის უდიდესი როლი, გაშუქებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. ლეონიდ ილიას ძის სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფისათვის წარმატებით საბრძოლველად.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ფართო ასპარეზი დაუსახა ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროგრესს. სახელოვანი სამოცი წლის პერიოდი ქართველი ხალხის, რუსუბლიკის ყველა მშრომელის ცხოვრებაში დამაჯერებლად მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ მძლავრი ბიძგი მისცა საქართველოს სს რესპუბლიკის შემოქმედებითს განვითარებას.

საქართველოს საბჭოთა. სოციალისტური რესპუბლიკა თანასწორთა შორის თანასწორია საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, მძლავრ და ერთიან საბჭოთა კავშირში. საქართველოს ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის განვითარებით ხორცშესხმულია სოციალიზმის ძირეული უპირატესობები, რომელმაც უზრუნველყო ეროვნული და ერთაშორისი ინტერესების ყოველმხრივი გათვალისწინება და შეხამება თითოეული მათგანის განვითარებაში. ყველა ერისა და ეროვნების ნამდვილი თანასწორუფლებიანობა და მეგობრობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის გამოქვეყნებულ საფუძვლიან მოხსენებაში ყოველმხრივ არის შეჯამებული საქართველოს სს რესპუბლიკის 60 წლის განვითარების შესანიშნავი შედეგები.

საქართველოს ხალხებმა რუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ძმური დახმარებით 60 წლის წინათ დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტთა ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა გასწიეს სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების ცხოვრების გარდაქმნისათვის. ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად საქართველო მსხვილი სოციალისტური ინდუსტრიის, მრავალდარგოვანი თანამედროვე სოფლის მეურნეობის, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის რესპუბლიკა გახდა. საქართველოს სსრ ხალხები საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად მედგრად გმირულად იცავდნენ სამშობლოს დიდი სამამულო ომის წლებში, ხოლო ომისშემდგომ პერიოდში დაამთავრეს განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების აშენება და ახლა წარმატებით აშენებენ კომუნიზმს.

საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა ეს წარმატებანი მოპოვებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების რევოლუციურ ტრადიციათა მემკვიდრისა და გამგრძელებლის ხელმძღვანელობით. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც საქართველოს საუკეთესო შვილებს აერთიანებს, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისადმი ურყევი ერთგულებით, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმისადმი უანგარო სამსახურით მასების უდიდესი ავტორიტეტი და უსაზღვრო ნდობა მოიპოვა, რესპუბლიკის მშრომელთა ნამდვილი ავანგარდი გახდა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 60 წლის თავს თქვენთან ერთად აღნიშნავენ მოსკოველი მშრომელებიც. მათ მჭიდრო მეგობრობა აკავშირებთ საქართველოს ხალხებთან. სულ უფრო ვითარდება და მტკიცდება მოსკოვისა და საქართველოს სამეურნეო, სამეცნიერო და კულტურული კავშირურთიერთობა. დედაქალაქში განხორციელდა ამ იუბილესადმი მიძღვნილი მთელი რიგი ღონისძიებანი.

საქართველოში საიუბილეო ზეიმი იმართება პერიოდში, როცა ქვეყანაში გაჩაღებულია მუშაობა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. სკკპ XXVI ყრილობის, ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაკეთებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების უდიდესი დამრაზმველი ზემოქმედებით ჩვენი ქვეყნის მშრომელები იჩენენ მაღალ სოციალისტურ შეგნებას, ენთუზიაზმით შრომობენ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამის განხორციელებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ მოსკოველ მშრომელებს. მათ ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართო დანერგვისათვის შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, შრომითი, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობის მიზნით. მოსკოველები დიდ მუშაობას ეწევიან, რათა დედაქალაქი გადააქციონ სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად.

საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 60 წლის თავს დღესასწაული ადასტურებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებას. იგი ახალი წვლილია ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცების, კომუნისტური პარტიისა და მისი მეთაურის — დიდი ლენინის საქმის ერთგული გამგრძელებლის, ხალხთა მეგობრობისათვის, კომუნიზმისა და მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო მათი ურღვევი შეკავშირების საქმეში. **(მქუხარე ტაში).**

ზეგა მიბოძეთ, მოსკოველ კომუნისტთა და მშრომელთა სახელით საქართველოს კომპარტიას, რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას ვუსურვო ახალი წარმატებანი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. **(ტაში).**

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას! **(ტაში).**

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას. **(ტაში).**

დიდება საბჭოთა კავშირის ლ



ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო და ძმებო!

...ოროკა ...არგი მეგობრის სახლ... დიდი და ნათელი დღესასწაული. იგი არ შეიძლება არ იყოს ...ენი საერთო ზეიმი. სწორედ ამიომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავი მთელ საბჭოთა მიწა-წყალზე აღინიშნება, ...ოგორც დიდი და სასიხარულო ...ვენა, რომელიც ნამდვილად ...ლობელია ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის. (ტაში).

...რსული უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ...ელი, რუსეთის ფედერაციის ...ბჭოთა კავშირის უმაღლესი საბ...ოს, ინტელიგენციის სა...ელით ჩვენი დელეგაცია გა...ეცემთ თქვენ, ამხანაგებო, ...ბჭოთა საქართველ ო ს კ ...ომუნისტებს, მშრომელებს, ყველა ...ოქალაქეს უგულითადეს, გულის ...ირმიდან მომდინარე მოლოცვას ...ირსულისანმნავ იუბილეასთან და ...ვმირებით. (მჭუხარე ტაში).

...ნება მიბოძეთ ძმურად მოგესალმოთ და გულწრფელად მოგიოცოთ დღესასწაული თქვენი ...ალოდინილი ...ავკასიელი მეზობლების ...ალოსტნის, ...აბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ...ოსლოდარისა და სტავროპოლის მხარეების სახელით, რომელთა დელეგაციები მონაწილეობენ ამ ზეიმში. (მჭუხარე ტაში).

...ენებ ...ოსლ...ოسلو...ოسلو...ოسلو

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა

(დასასრული)

ამხანაგ ბ. ა. ალიევის სიტყვა

ბი უკრაინის დედაქალაქში სამამულო ომის ვეტერანებთან, დღეს კი საქართველოს მიწა-წყალზე — მზიური რესპუბლიკის მშრომელებთან **(ტაში)** — ყოველივე ეს ყრილობის შემდეგ გავლილი მოკლე დროის მანძილზე! — ასეთი გახლავთ შუშაობის ნამდვილად ლენინური სტილი. **(ხანგრძლივი ტაში).**

მასებთან მჭიდრო კავშირი, დიდსულოვნება, მისწრაფება, რაც შეიძლება მეტი იღვაწოს საბჭოთა ადამიანისათვის, ღრმა ინტერნაციონალიზმი ახასიათებს ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის დაუღალავ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობას. და საბჭოთა ხალხი მას მხურვალე მადლიერებით, უცვლელი ნდობით, დიდი სიყვარულით უპასუხებს. **(მჭუხარე ტაში).**

ძვირფასო ქართველო დებო და ძმებო! ჩვენ გულითადად გილოცავთ სახელოვან საყოველთაოსახალხო დღესასწაულს, შესანიშნავ მიღწევებს, ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ მოძმე საქართველოს ყველა შრომელს, კეთილდღეობა და ბედნიერება — ყოველ ოჯახს, როგორც საქართველოში ამბობენ — მრავალჟამიერ! **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი დიდად პატივცემული მეგობრისა და ძმის ამხ. ე. ა. შევარდნაძის გაზეთებში გამოქვეყნებულ მოხსენებაში გაშუქებულია 60 საბჭოური წლის მანძილზე საქართველოს განუხრელი აყვავების შთამბეჭდავი სურათი. მოკლე ისტორიულ ვადაში ქართველმა ხალხმა სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ეკონომიკისა და კულტურის განვითარების გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია. მაგრამ განსაკუთრებით გვახარებს და აღგვფრთოვანებს 70-იანი წლების, მეათე ხუთწლედის მიღწევები, რომლებიც ღირსეულად აგვირგვინებს საბჭოთა საქართველოს სამოცი წლის გზას.

პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლების, დისციპლინის განმტკიცების, კადრების პასუხისმგებლობის ზრდის, მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღების კურსმა, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლამ უზრუნველყო ეკონომიკის განვითარების სწრაფი ტემპი, სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულება, რესპუბლიკის გასვლა ქვეყნის მოწინავე მიჯნებზე. და ყოველივე ამას მაღალი შეფასება მისცა ჩვენმა პარტიამ, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებასა და თავის დღეანდელ შესანიშნავ სიტყვაში. **(ხანგრძლივი ტაში).** ზედიზედ რვა წელია საქართველოს სს რესპუბლიკა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის წოდეული დროშით ჯილდოდდება. ამხ. ე. ა. შევარდნაძისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება კიდევ ერთი აღიარებაა საქართველოს წარმატებებისა და მისი პირადი დიდი ღვაწლისა იმ პოზიტიურ ცვლილებებში, რესპუბლიკის ცხოვრებაში რომ მოხდა. **(მჭუხარე ტაში).** ჩვენ გულითადად ვუღოცავთ ედუარდ ამბროსის ძეს სამშობლოს მაღალ ჯილდოს და აზერბაიჯანელი ხალხის სახელით ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ საქართველოს ყველა შრომელს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ათასწლეულებში აქვს გადგმული ფესვი ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ძმობასა და მეგობრობას. ჩვენ ერთად ვებრძოდით დამოუკიდებლობისათვის, ვერკინებოდით უცხოელ დამპყრობლებს. ერთმანეთის მხარდამხარ ვებრძოდით მტერს სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, ერთად ვიყავით ჭირსა და ლხინში. საქართველოს მიწა-წყალზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩვენი ხალხის ბევრი პროგრესული მოღვაწე. აზერბაიჯანი, პროლეტარული ბაქო გამოჩენილ რევოლუციონერთა — სახელოვან ქართველ მამულიშვილთა მთელი პლეადის მეორე სამშობლო გახდა.

ჩვენი ურღვევი კავშირი, რომელიც თვით ისტორიამ გამოჭედა, გამოიწრთო და განმტკიცდა ლენინის საქმისათვის, შრომელ ადამიანთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის კლასობრივი ბრძოლების ქარცეცხლში. მრავალროვან აზერბაიჯანში დიდად აფასებენ და წმიდათაწმიდა პატივს სცემენ ქართველ ბოლშევიკთა გმირობას, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ხალხის ბედნიერებისათვის. მარადიული ცეცხლი, აზერბაიჯანის დედაქალაქში 26 ბაქოელი კომისრის მემორიალზე რომ გიზგიზებს, — ეს არის ცოცხალი ხსოვნა თამამობისა, რომელმაც რევოლუციის რაინდთა ესტაფეტა მიიღო. და ბაქოს ერთერთ უღამაზეს კუთხეში აღმართული დიდებული მონუმენტი მამაცი კომისრის ალიოშა ჯაფარიძისა, რომლის მე-100 წლისთავი ფართოდ აღნიშნა აზერბაიჯანმა, გამოხატავს ჩვენს უსაზღვრო სიყვარულსა და მადლიერებას მთელი ქართველი ხალხისადმი. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ერთ მკერდში მფეთქავი ორი გული — ეს ჩვენი ძმობის პოეტური სახე გახლავთ. და ეს არის თვით ცხოვრება. უკვდავი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლეგენდარული მერანივთ ფრთაშესმული, მარად წმინდა მეგობრობა ჩვენი ხალხებისა. **(მჭუხარე ტაში).**

დიდმა რუსმა ხალხმა, რომელმაც კაცობრიობას ლენინის გენია და ოქტომბრის ნათელი მისცა, ჩვენ შეგვკავშირა კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის მებრძოლთა ინტერნაციონალურ მწყობრში. აქ ამიერკავკასიის ხალხებმა სამუდამო და ერთგული მეგობარი ჰპოვეს სამარადჟამოდ. და სოციალიზმის აყვავებამ საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში წარმოაჩინა ჩვენი კეთილი და ბრძენი უფროსი ძმის — რუსი ძმის უმაგალითო გმირობა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! გასული წლის აპრილში ჩვენ მთელ ქვეყანასთან ერთად ზეიმით აღვნიშნეთ საბჭოთა აზერბაიჯანის მე-60 წლისთავი. იუბილეს წინ ჩვენმა რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა მეათე ხუთწლედის დავალებები და მიენიჭა სამშობლოს მაღალი ჯილდო — მესამე ლენინის ორდენი. **(ტაში).** აზერბაიჯანის შრომელები ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობას. და დღეს, წითელი დროშებით მადლმოსილნი, თერთმეტი წელია ზედიზედ რომ იღებენ საკავშირო შეჯიბრებაში, ისინი უდიდესი აღმავლობით ასხამენ ზრუნს პარტიის ისტორიულ წინასწარდასახულობებს.

გაისად 60 წელი უსრულდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს. და ჩვენ შეგვიძლია ამაყად ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა ეროსა და ეროვნების ამ ინტერნაციონალურ ძმობაში, რომელიც არნახული და უმაგალითოა მსოფლიო ისტორიაში, ვპოვეთ ჭეშმარიტი ბედნიერება, მივაღწიეთ თანამედროვე ცივილიზაციის მწვერვალებს. ყოველივე ეს კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, დიდი ინტერნაციონალისტის ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის მამაშვილური მზრუნველობის შედეგია. **(მჭუხარე ტაში).**

დაე, კვლავაც ყვაოდეს ჩვენს ერთიან, შეურღვევ ოჯახში ტურფა საბჭოთა საქართველო! **(ხანგრძლივი ტაში).**

დაე, მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობა — მომავალი კომუნიზმური საძმოს დიადი პირველსახე! **(ტაში).**

დიდება სახელოვან საბჭოთა საქართველოს! **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგ პ. პ. გრიშკიავიჩუსის სიტყვა

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

ნება მომეცით, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა შრომელის სახელით მზურვალედ და გულითადად მოგილოცოთ თქვენ, მთელ მოძმე ქართველ ხალხს ღირსშესანიშნავი დღესასწაული — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავი **(ტაში)**. ბალტიის ზღვის ქარავსფერი ნაპირის მკვიდრთა სახელით გულწრფელად გისურვებთ წარმატებებს, ბედნიერებასა და კეთილდღეობას თქვენ, მზიური საქართველოს ნიშიერ, შრომისმოყვარე ხალხს.

თქვენთან ერთად, ძვირფასო მეგობრებო, დიდი სიხარულისა და სიამაყის გრძნობა გვეუფლება საქართველოს შრომელთა მიღწევების იმ დიდი შეფასებისათვის, რომელიც თავის მკაფიო და ღრმაშინაარსიან სიტყვაში მოგვცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. **(ტაში).**

ლეონიდ ილიას ძის შესანიშნავი გამოსვლის გულში ჩამწვდომმა სიტყვებმა კვლავ ნათლად ცხადყო პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელი ძალა, დაუცხრომელი ზრუნვა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის, სამშობლოს ძლიერების, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს კიდევ ერთ კიდევ უდიდეს მადლობას გიხდით თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეო, თქვენი ტიტანური შრომისათვის, თქვენი დაუცხრომელი მოღვაწეობისათვის ჩვენი დიადი სამშობლოსა და მისი თითოეული რესპუბლიკის ასაყვავებლად, კომუნიზმისა და მშვიდობის საკეთილდღეოდ. **(მჭუხარე ტაში).** მთელ საბჭოთა ხალხს თქვენ მიაჩნიხართ ლენინის საქმის ერთგულ განმგრძობად, ბრძენ და ნაცად ხელმძღვანელად, რომელიც მიზანდასახულად მიუძღვის ჩვენს ძლევამოსილ მრავალეროვან სამშობლოს აღმშენებლობისა და პროგრესის გზით.

ნამდვილად დიდი ბედნიერება და სიკეთეა, რომ ესოდენ რთულ დღევანდელ მსოფლიოში ჩვენ განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებას გულდაჯერებით მიუძღვის ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით! **(ტაში).**

საქართველოს კომუნისტების, ყველა შრომელის წარმატებები, რომლებიც ესოდენ ნათლად იყო ნაჩვენები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის სიტყვაში, ყველა საბჭოთა ადამიანის აღტაცებას იწვევს. ისინი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, საბჭოთა ხალხების ურყევი ერთიანობისა და ურღვევი ძმური მეგობრობის ცხოველმყოფელი ძალის დადასტურებაა.

თქვენი ზეიმი თითქოს ეხმიანება ლიტველი ხალხის სასიხარულო დღესასწაულს, რომელიც მან შარშან აღნიშნა, — ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის 40 წლის თავს.

ორმოცი წელი დროის მცირე მონაკვეთია ხალხის ისტორიაში. მაგრამ ამ მოკლე ხანშიც საბჭოთა ლიტვის მშრომელებმა მომძე საბჭოთა ხალხების ოჯახში შეძლეს დაეძლიათ ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენილობა და ყველა საბჭოთა რესპუბლიკასთან ერთად შესულიყვნენ განვითარებული სოციალიზმის სტადიაში, ყოველი წელი აღსავსე იყო დაძაბული, შემოქმედებითი და ნაყოფიერი შრომით.

კომუნისტურ მშენებლობაში ყველა ჩვენი მიღწევისათვის, ძმური ურთიერთდახმარებისათვის დიდი მადლობელი ვართ ყველა საბჭოთა მოძმე ხალხისა და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხისა. **(ტაში).**

ამხანაგებო! თქვენი ნათელი და ფერებით მდიდარი დღესასწაული დაემთხვა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას — ლენინური პარტიის XXVI ყრილობას, რომელიც ახლახან გაიმართა. საბჭოთა ადამიანების აზრები, მთელი მეცადინეობა ახლა იქითკენ არის მიმართული, რომ რაც შეიძლება უკეთ განახორციელონ ყრილობის ისტორიული წინასწარდასახულობანი. ყველა საბჭოთა ადამიანის მხარდამხარ შრომობს ლტველი ხალხიც. მეთერთმეტე ხუთწლედში კარგი სტარტი აიღო რესპუბლიკის მრეწველობამ, საუკეთესო ვადებში დამთავრდა საგაზაფხულო თესვა.

ძვირფასო მეგობრებო! თქვენ საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე საბჭოთა ხალხების ოჯახში თქვენი რესპუბლიკა აყვავებულ მხარედ გადაქციეთ.

ნება მომეცით, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი დელეგაციის სახელით გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ თქვენს შესანიშნავ დღესასწაულზე მოწვევისათვის და სულითა და გულით გისურვოთ ახალი დიდი გამარჯვებანი და წარმატებანი კომუნიზმის საკეთილდღეოდ. **(ტაში).**

დაე, მუდამ კაშკაშებდეს საბჭოთა საქართველოს ძველ და ცოდენ სწრაფად გარდაქმნილ მიწა-წყალზე კეთილდღეობისა და ბედნიერების მზე თითოეული ოჯახისათვის. **(ტაში).**

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და საქართველოს კომპარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელოვან მებრძოლ რაზმს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგ ი. პ. კალინის სიტყვა

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ამხანაგებო!

ძვირფასო ქართველო დებო და ძმებო!

ნება მიბოძეთ მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, ყველა მშრომელის სახელით მზურვალედ და გულითადად მოგილოცოთ თქვენ, ძმა ერებო, ეროვნული განთავისუფლებისათვის, ერთად ვიყაოთ ჭირსა და ლხინში. საქართველოს მიწა-წყალზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩვენი ხალხის ბევრი პროგრესული მოღვაწე. აზერბაიჯანი, პროლეტარული ბაქო გამოჩენილ რევოლუციონერთა — სახელოვან ქართველ მამულიშვილთა მთელი პლეადის მეორე სამშობლო გახდა.

ჩვენი ურღვევი კავშირი, რომელიც თვით ისტორიამ ბრძოლებში, გამოიწრთო და განმტკიცდა ლენინის საქმისათვის, შრომელ ადამიანთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის კლასობრივი ბრძოლების ქარცეცხლში. მრავალროვან აზერბაიჯანში დიდად აფასებენ და წმიდათაწმიდა პატივს სცემენ ქართველ ბოლშევიკთა გმირობას, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ხალხის ბედნიერებისათვის. მარადიული ცეცხლი, აზერბაიჯანის დედაქალაქში 26 ბაქოელი კომისრის მემორიალზე რომ გიზგიზებს, — ეს არის ცოცხალი ხსოვნა თამამობისა, რომელმაც რევოლუციის რაინდთა ესტაფეტა მიიღო. და ბაქოს ერთერთ უღამაზეს კუთხეში აღმართული დიდებული მონუმენტი მამაცი კომისრის ალიოშა ჯაფარიძისა, რომლის მე-100 წლისთავი ფართოდ აღნიშნა აზერბაიჯანმა, გამოხატავს ჩვენს უსაზღვრო სიყვარულსა და მადლიერებას მთელი ქართველი ხალხისადმი. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ერთ მკერდში მფეთქავი ორი გული — ეს ჩვენი ძმობის პოეტური სახე გახლავთ. და ეს არის თვით ცხოვრება. უკვდავი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლეგენდარული მერანივთ ფრთაშესმული, მარად წმინდა მეგობრობა ჩვენი ხალხებისა. **(მჭუხარე ტაში).**

დიდმა რუსმა ხალხმა, რომელმაც კაცობრიობას ლენინის გენია და ოქტომბრის ნათელი მისცა, ჩვენ შეგვკავშირა კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის მებრძოლთა ინტერნაციონალურ მწყობრში. აქ ამიერკავკასიის ხალხებმა სამუდამო და ერთგული მეგობარი ჰპოვეს სამარადჟამოდ. და სოციალიზმის აყვავებამ საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში წარმოაჩინა ჩვენი კეთილი და ბრძენი უფროსი ძმის — რუსი ხალხის საკეთილდღეოდ.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ! ნება მომეცით, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა შრომელის სახელით მზურვალედ და გულითადად მოგილოცოთ თქვენ, ძმა ერებო, ეროვნული განთავისუფლებისათვის, ერთად ვიყაოთ ჭირსა და ლხინში. საქართველოს ბევრი ბრძენი ადამიანი ამბობს, ბედნიერი ოჯახის ბედნიერ ბავშვებს ბევრი ოჯახი ეკალ-ბარდიანი ეზოსკენ ეზიდებოდა, ბევრ ოჯახში ბავშვებს ეზიზღებოდა ეზოს ბალახი